ჩვენი მიზანი

თარგმანი

პოლ. კალანდაძისა.

გამომცემელი

ივანე ცინცაძე

თ ფ ი ლ ი ს ი

ელექტრომბეჭდავი ამხ. „შრომა“, მიხეილის პრ., № 65.

1906

I

სანამ მთავარ საგანს შევეხებოდე, მე მსურს რამდენიმე სიტყვა ვსთქვა ჩვენი პარტიის სახელწოდების შესახებ. მას ეწოდება სოციალისტური, ანუ სოციალისტური მუშათა პარტია; ჩვენი დროშაა, დროშა სოციალდემოკრატიის, სოციალიზმის. სოციალდემოკრატიული და სოციალდემოკრატია უფრო ბევრს ნიშნავს, ვიდრე დემოკრატიული და დემოკრატია. დემოკრატია ნიშნავს პირველათ ხალხის მართველობას და მეორეთ იმათ ორგანიზაციას ვინც ამ მართველობის მომხრეა. დემოკრატიული მოთხოვნილებები, ისეთი მოთხოვნილებებია, რომლების მიზანი ხალხის მართველობაა.

ხშირათ სიტყვა „დემოკრატია“-ს (ნასესხებია ბერძნულიდან) ასე თარგმნიან ხოლმე „ხალხის ბატონობა“. ასეთი თარგმანი სრულიად არ ეხამება ამ სიტყვის შინაარს. ხალხს შეადგენს მთელი სახელმწიფოს ყველა მოქალაქენი და თუ კი ეს ასეა აშკარაა ხალხი ბატონი ვერ იქნება, რადგან საბატონო არავინ ეყოლება. ბატონისთვის უსათუოთ საჭიროა, რომ ხელქვეითები ყავდეს, ვისზედაც უნდა იბატონოს. მაშასადამე იქ სადაც არავინ არავისზე დამოკიდებული არ არის და ყველა თანასწორ უფ-

ლებებით არის აღჭურვილი და ყველა თანასწორ მონაწილეობას იღებს სახელმწიფო მართვა-გამგეობაში ბატონობასაც ადგილი აღარ აქვს.

. აშკარაა გონივრული და სასარგებლო იქნება, რომ სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში ყველა სრულწლოვანი მოქალაქე იღებდეს მონაწილეობას, განურჩევლათ სქესისა, წოდებისა და სარწმუნოებისა. სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ასეთი სისტემა სრულიად მოსპობს ყოველგვარ უსამართლობას საზოგადოებაში. რატომ არ უნდა შევინახოთ სახელწოდება „დემოკრატია“, რომელსაც თავისი ძველი ისტორია აქვს? კიდეც იმიტომ, რომ მას თავისი ძველი ისტორია აქვს. მას შემდეგ რაც ბურჟუაზიული საზოგადოება არსებობს, თავისი კლასობრივი წინააღმდეგობით და კლასობრივი ბრძოლით, დემოკრატიის დროშით ბევრჯერ უსარგებლიათ, რომ ხალხისთვის თვალები აეხვიათ და დაემალათ ის საშიშარი უფსკრული, რომელიც ყოფს საზოგადოების სხვა და სხვა კლასებს. დიახ! ჩვენ თვალწინ მუშა ხალხის მტერნი დემოკრატიის დროშის ქვეშ ებრძოდენ მას. თითქმის იმ დემოკრატების თვალში, რომლებიც დიდი მომხრეები არიან ხალხის მმართველობის, სიტყვა დემოკრატიას, სულ სხვა ვიწრო მნიშვნელობა აქვს და ეხება მხოლოთ პოლიტიკურ, სახელმწიფო მხარეს. ამ სიტყვის ასეთი მნიშვნელობა სრულიად ლოღიკას მოკლებულია და ასეთი სახელწოდება სრულიად ვერ აკმაყოფილებს პარტიას, რომელიც ხალხის მართვა-გამგეობის ნამდვილი მომხრეა, მხოლოდ ეს მიზანი კი არაა, ეს საშუალე-

ბაა უფრო დიდი მიზნის მისაღწევათ. სახელმწიფოს მიზანი ისაა, რომ ყველა თავის მოქალაქეს სრული კეთილდღეობა მიანიჭოს და ეს შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოებისთვის საჭირო შრომის ორგანიზაციით.

ეს აზრი ნათლათ გამოხატულია სიტყვა „სოციალდემოკრატია“-სა და „სოციალდემოკრატიულში“. სიტყვა „სოციალური“ სხვანაირათ რომ ვსთქვათ ნიშნავს, საზოგადოებრივი; „სოციალდემოკრატია“ ნიშნავს ხალხის მართვა-გამგეობას, როგორც საზოგადოებრივ საქმეებში ისე სახელმწიფოში. „სოციალიზმი“ არის მოძღვრება საზოგადოებაზე, რომელიც, დღეს უწესოთ არის მოწყობილი და ჩვენი მიზანია მისი წესიერათ და გონივრულათ მოწყობა; სიტყვა სოციალისტურ ნიშნავს ყველაფერს რაც ამ მოძღვრებას შეეხება და მის პრინციპებზეა აგებული. სოციალისტი ქვია იმას ვისაც უნდა დღევანდელი საზოგადოებრივი წეს-წყობილების შეცვლა და მისი სოციალისტური ნიადაგზე აშენება. ასე, რომ სიტყვა „სოციალისტური“ და „სოციალისტი“ იმასვე ნიშნავს რასაც „სოციალდემოკრატი“ და „სოციალდემოკრატიული“.

ჩვენ გვეწოდება მუშათა პარტია, იმიტომ რომ მუშა ხალხი დღეს ყველაზე მეტათ დაინტერესებულია ასეთი წეს-წყობილების შემოღებაში და რადგან ის რიცხვით ყველაზე მეტია, ყველაზე უფრო ძლიერია. ამასთანავე ის არ უნდა დავივიწყოთ, რომ მუშა ხალხს ჩვენ მარტო ქარხნის მუშებს კი არ ვეძახით, მუშა ხალხს ვეძახით ყველას ვინც სხვისი

შრომით არ ცხოვრობს, როგორც ქალაქის და სოფლის მუშას, ისე წვრილ მესაკუთრე გლეხებს და წვრილ ხელოსნებსაც (წვრილ ვაჭრებსაც), რომლებიც ისე კვნესიან კაპიტალის უღელ ქვეშ, როგორც დაქირავებული მუშები და ხშირათ მეტსაც.

არიან რამდენიმე ასი ათასი წვრილი ხელოსნები, რომლებიც იძულებული არიან მთელი საათობით ირბინონ ქალაქში შაბათობით, რომ რამდენიმე გროში შეაგროვონ თავიანთ „მუშების“ გასასტუმრებლათ; ისინი ცას დაეწეოდენ სიხარულით, რომ მათი მოსაგები ქარხნის მუშის დღიურ ქირას შეედრებოდეს.

ეხლა გადავიდეთ ჩვენ მთავარ საგანზე.

22-დან 27 მაისამდე 1875 წელს ქალაქ გოტში კრება ქონდათ ყველა სოციალდემოკრატების დელეგატებს (რიცხვით 127) და საგნის ყოველ მხრივ განხილვის შემდეგ მიიღეს შემდეგი პროგრამა:

1) შრომა არის ყოველგვარ სიმდიდრის და კულტურის წყარო და რადგანაც საზოგადო სარგებლის შრომა შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოების ხელში, ამიტომ შრომის მთელი ნაყოფი ეკუთვნის თვით საზოგადოებას ე. ი. ყველა მის წევრებს, საყოველთაო სავალდებულო შრომის დაკანონებით.

თანამედროვე საზოგადოებაში სამუშაო იარაღები კაპიტალისტთა კლასის მონოპოლიას შეადგენს და აქედან წარმომდგარი მუშათა კლასის დამოკიდებულება სიღარიბის და მონობის თავი და თავი მიზეზია.

შრომის განთავისუფლება თხოულობს შრომის

იარაღის საზოგადო კუთვნილებათ გახდომას, საზოგადო შრომის ამხანაგურათ მოწყობას, და შრომის ნაყოფის წესიერათ განაწილებას,

შრომის განთავისუფლება მუშათა კლასის საქმე უნდა იყოს, რომელთან შედარებით სხვა ყველა დანარჩენი კლასები ერთს რეაქციონურ ძალას წარმოადგენენ.*)

2) ამ პრინციპების მიხედვით გერმანიის სოციალისტური მუშათა პარტია ცდილობს, იხმაროს ყოველივე კანონიერი საშუალება დაამყაროს თავისუფალი სახელმწიფო და სოციალისტური საზოგადოება. ძირიანათ აღმოფხვრას შრომის რკინის კანონი, დაქირავებული შრომის და ყოველივე პოლიტიკური და სოციალური უთანასწორობის მოსპობით.

გერმანიის სოციალისტური მუშათა პარტია, თუმცა ნაციონალურ ფარგალში იბრძვის, მაგრამ აშკარათ ხედავს მუშათა მოძრაობის საერთაშორისო ნიშნებს და მზათ არის სისრულეში მოიყვანოს ყოველივე დავალება მუშებზე, საერთაშორისო მოძრაობის მიერ, ყველა ერების ძმობის და ერთობის განსახორციელებლათ.

როგორც პირველ ნაბიჯს სოციალურ კიხვის გადასაწყვეტათ, გერმანიის სოციალისტური მუ-

---

*) თუმცა ამ აზრის წინააღმდეგი ბევრი იყო და არის, მაგრამ არავითარი საბუთი ხელთ არა ექვთ. მაგალ. მოვიგონოთ ყველა დანარჩენ კლასების მოქმედება 1868 წელს და მათი ქცევა სოციალისტთა წინააღმდეგ კანონების გამოცემის დროს.

შათა პარტია თხოულობს სოციალისტური წარმოებითი ამხანაგობების დაარსებას, სახელმწიფოს დახმარებით, რომლებიც უსათუოთ მუშათა კლასის კანტროლის ქვეშ უნდა იქნეს. წარმოებითი ამხანაგობები როგორც მრეწველობაში ისე მიწის მუშაობაში ისე უნდა მოეწყოს, რომ შემდეგ შესაძლო იყოს მაზე აშენდეს მთელი წარმოების სოციალისტური ორგანიზაცია.

გერმანიის სოციალისტური მუშათა პარტია თხოულობს სახელმწიფოს საფუძვლათ შემდგეს:

1) „საყოველთაო, პირდაპირ და თანასწორ არჩევნებითი უფლებას, ფარული კენჭის ყრით, ყველა მოქალაქისთვის დაწყებული 20 წლიდან, ყველა ხელმწიფო და საზოგადოებრივ არჩევნებში, არჩევნები და კენჭის ყრა უნდა მოხდეს კვირა უქმე დღეებში.

2) ხალხის პირდაპირი კანონმდებლობითი უფლება. ომისა და ზავის პირობების გადაწყვეტის უფლება.

3) საყოველთაო შეიარაღება. სამუდამო ჯარის სახალხო მილიციით შეცვლა.

4) გაუქმება ყველა განსაკუთრებული კანონების, რომელიც კი შეეხება თავისუფლებას, სიტყვის, საქმის, აზრის და სხ.

5) სასამართლოების ხალხის ხელში გარდაცემა. უფასო სამართალი.

6) ხალხის საყოველთაო და თანასწორი აღზრდა სახელმწიფოს ხარჯით. საყოველთაო სასკოლო გადასახადი. სარწმუნოების კერძო საქმეთ აღიარება.

გერმანიის სოციალისტური მუშათა პარტია თანამედროვე საზოგადოებისათვის თხოულობს:

1) რამდენათაც შესაძლებელია პოლიტიკურ უფლებების გაფართოება, ზემოთ მოყვანილ მოთხოვნილებების და გვარათ.

2) საყოველთაო, შემოსავლის კვალობაზე დაწესებული, გარდასახადი, წინაღმდეგ არსებულ სხვა და სხვა ფორმის გადასახადებისა და უმეტესათ ბაჟისა.

8) კავშირების განუსაზღვრელი უფლება.

4) ნორმალური სამუშაო დღე, საზოგადოებრივ მოთხოვნილებების შესაფერათ, კვირა უქმე დღეებში მუშაობის აკრძალვა.

5) ქალებისა და ბავშვების მუშაობის აღკრძალვა, რადგან ეს მავნებელია, როგორც ფიზიკურათ ისე ზნეობრივათ.

6) კანონმდებლობა მუშათა ჯანმრთელობის და სიცოცხლის დასაცველათ. სანიტარული კანტროლი მუშათა საცხოვრებელ ბინაზე. მუშათაგან არჩეულ მოხელეების ზედამხედველობა, საქარხნო, და შინაურ წარმოებაზე.

7) საპატიმროებში სამუშაოს გაწესრიგება.

8) სრული თვითმართველობა მუშების სხვა და სხვა კასების“.

ისეთი ადამიანი, რომელსაც კეთილი სურს თავის მეზობლისათვის, უარს არ იტყვის ამ ჩვენ პროგრამაზე. არავინ, ვისაც კი ოდესმე გამოუცდია ექსპლოატაციის კლანჭები თავის ზურგზე, და ვინც დაინტერესებული არაა სხვისი ტყავის გაძრობაში,

წინააღმდეგი არ იქნება იმისი, რომ ამ პროგრამის განხორციელება მთელი ხალხის ბედნიერება იქნებოდა.

ეხლა განვიხილოთ თანამედროვე სახელმწიფოს და საზოგადოების მდგომარეობა.

ყოველივე უფლების იარაღი, ყოველივე წყარო ფუფუნებით და გალაღებული ცხოვრების დღეს უმცირესობის ხელშია და ეს უმცირესობა, რასაკვირველია, ფართოთ სარგებლობს თავის უფლებებით, რომ ძალმომრეობით მოპოვებული უპირატესობა დიდხანს შეინარჩუნოს, და მით ხელი შეუშალოს მისგან გათელილ უმრავლესობას მოიპოვოს პოლიტიკური და სოციალური უფლებები.

ვის ხელშია დღეს პოლიტიკური უფლება? უმცირესობის ხელში, რომელსაც შთამომავლობით და სიმდიდრით მოეპოებია უპირატესობა, დიდი უმრავლესობა კი მოკლებულია ყოველგვარ ძალას, მაშასადამე უფლებასაც, რადგან თუ არავითარი ძალა არა გაქვს, რომელიმე უფლების სისრულეში მოსაყვანათ, ასეთი უფლება თვალთმაქცობაა, მირაჟია. მაგალითათ რა მნიშვნელობა აქვს დეპუტატის არჩევის უფლებას, რომელსაც მხოლოთ ლაპარაკი შეუძლია და ძალა კი არავითარი არა აქვს, რომ გავლენა იქონიოს ქვეყნის მართვა-გამგეობაზე? გაბატონებული უმცირესობა ბატონობს მხოლოდ მარტო თავისთვის და გალატაკებული უმრავლესობა თუ გინდ წყალსაც წაუღია მისთვის სულ ერთია. მათ შორის არავითარი საზოგადო ინტერესები არ არის ისე, როგორც ნეგრებსა და პლატანტორებს შორის. პლატანტორე-

ბის აზრით ნეგრებს არავითარი ინტერესი არ აქვთ, მათ არაფერი არ აწუხებს. მათი ყოველივე მოქმედება მათ კერძო ინტერესებზეა აშენებული და ისე ეპყრობიან ნეგრებს, როგორც მათი ინტერესები თხოულობს ამას. ასეა თანამედროვე სახელმწიფო, მცირე გაბატონებული კლასის ინტერესებს დიდი გასავალი აქვს და ხალხის ინტერესები კი უარყოფილია და არავითარი ფასი მას არ აქვს. ბატონობის ძირითად თვისებას შეადგენს, რომ ვინც ბატონებზე დამოკიდებულია მათი ინტერესებია, ბატონების ინტერესებზეა დამოკიდებული. იმ დრომდე, სანამ იქნება ბატონები და მათი ხელქვეითები დღევანდელი წესწყობილება შეუცვლელი დარჩება, რადგან ბატონობა მჭიდროთ დაკავშირებულია ექსპლოატაციასთან. აქედან ის დასკვნა გამოდის, რომ ხალხის ინტერესები თხოულობს სახელმწიფოს ძირიანათ გადადაკეთებას ახალ ნიადაგზე. სახელმწიფო არ უნდა იყოს რამდენიმე პირის, წოდების ან კლასის საპარპაშოთ, ის უნდა შეიქნას სრულ და თანასწორ უფლებებით აღჭურვილ მოქალაქეთა კავშირათ, სადაც არც ბატონობას და არც ყმობას არავითარი ადგილი არ ექნება.

აი რა უნდა სოციალდემოკრატიას.

ჩვენ გვინდა თანამედროვე კლასობრივი სახელმწიფო გარდავქმნათ ხალხურ სახელმწიფოთ.

ჩვენი პროგრამიდან აშკარათ სჩანს თუ რა ცილს გვწამებენ ჩვენი მოწინააღმდეგენი, როცა ამტკიცებენ ვითომ სოციალდემოკრატიას უნდოდეს მუშათა კლასის გაბატონება სახელმწიფოში. ჩვენ უკვე

ესთქვით, რომ ბატონობა საზოგადოთ დემოკრატიული არაა, და მით უმეტეს სოციალდემოკრატიული, რადგან დემოკრატიული მოთხოვნილებები, რომლებიც კი თავისუფლებისკენ არის მიმართული, იმავე დროს სოციალდემოკრატიული მოთხოვნილებებია. განსხვავება სოციალდემოკრატიასა და დემოკრატიას შორის ის არის, რომ პირველს ბოლოს გამოყავს დასკვნა, რომელზედაც დემოკრატიას, როგორც ბურჟუაზიული აზრებით გაჟღენთილს, ძალა არ შესწევს. სოციალდემოკრატია ცდილობს მოახდინოს სახელმწიფოს და საზოგადოების ორგანიზაცია, რომელიც ყველა ხალხის თანასწორ უფლებაზე უნდა იყოს დამყარებული; მას სურს აღმოფხვრას ყოველივე უთანასწორობის მიზეზები; ის ვერ ითმენს ვერც ბატონს, ვერც მონას, და მიისწრაფის თავისუფალი ხალხის ძმურათ შეერთებისკენ.

ყველა ეს რომ შესაძლებელი შეიქნეს, ამისთვის საჭიროა უკუვაგდოთ თანამედროვე წარმოების ფორმა, შევცვალოთ საზოგადოების ეკონომიური საფუძველი ე. ი. შრომის ფორმები, საზოგადო შრომის სისტემა.

ყოველივე საზოგადო სიმდიდრის და კულტურის შემქნელი შრომაა. ყველაფერი რაც ჩვენ გვაბადია და შეგვიძლია შევიძინოთ, გვაქვს და შევიძენთ მხოლოდ შრომით. ყველაფრის წყარო შრომაა. მარა ჩვენ კერძოთ შრომას კი არ აქვს ასეთი სასწაულებრივი ძალა, ასეთი ძალა მხოლოდ საზოგადოებრივ შრომას აქვს. შესაძლებელია ვისარგებლოთ კულტურის ყოველივე ნაყოფით და კერძოთ

ჩვენ არავითარი შრომა არ გავსწიოთ, არა თუ ჩვენ, თითქმის იმ მუშებსაც, რომლებიც მუდამ შრომობენ, რაც უნდა ბევრი იშრომონ, არ შეუძლიათ იცხოვრონ კულტურულათ თუ საზოგადო შრომით არ ისარგებლეს, რადგან მხოლოდ ასეთი შრომაა კულტურის წყარო, ურომლისოდაც ჩვენ მხეცები ვიქნებოდით. აქედან მომდინარეობს შრომის კომუნისტური ხასიათი საზოგადოებრივი შრომის, რომელზედაც სახელმწმფო და საზოგადოებაა აშენებული. ასეთი კომუნისტური ხასიათი ქონდა მუდამ შრომას: შრომას მონების, შრომას ყმის და შრომას თანამედროვე დაქირავებული მუშის. შრომის ნაყოფს კი ასეთი ხასიათი თავის დღეში არც ქონია და არც ეხლა აქვს. ძველი დროის მონები შრომობდენ თავიანთ პატრონისთვის, საშუალო საუკუნოების ყმები, თავიანთი ბატონისთვის, და დღევანდელი დაქირავებული მუშა კაპიტალისტისთვის. აი სად მარხია ძაღლის თავი, აი სად იმალება უსამართლობა, რომლის გაქრობა სოციალდემოკრატიის მიზანია. შრომის საზოგადოებრივ - კომინისტური ხასიათი, შრომის ნაყოფზედაც უნდა იყოს გავრცელებული. შრომის ნაყოფი უნდა იყოს მუშის საკუთრება. სასაზოგადო შრომა,—საზოგადო სარგებლობა და არა საზოგადო შრომა და საზოგადო სიღატაკე. მშრომელს არ უნდა შიოდეს, მანვე უნდა მოიხმაროს თავის შრომის ნაყოფი.

სწორეთ სასაცილოა ზოგიერთების აზრი, ვითომ ჩვენ სოციალდემოკრატებს საკუთრების მოსპობა გვინდოდეს. ჩვენ გვინდა მოვსპოთ მხოლოდ

უსამართლო საკუთრება, რომელიც სხვისი საკუთრების მისაკუთრებაა, ე. ი. საზოგადო ქურდობას და არა საზოგადოთ საკუთრების.

მარქსმა დაარქვა ამას „ექსპროპრიატორების ექსპროპრიაცია“ (სხვისი საკუთრების მიმთვისებლების საკუთრების გამოცლა ხელიდან და სახელმწიფოს გარდაცემა). საზოგადოთ ის ხალხი რომლებსაც ქრისტიანობა სწამთ წინააღმდეგ, ვერ იქნებიან „გაყოფის“, რადგან ახალი აღთქმა პირველყოფილი კომუნიზმის მქადაგებელია. პირველი ქრისტიანები, რომლებსაც სწამდათ ეს „შეუბღალავი მოძღვრება“ სავსებით ასრულებდენ „გაყოფის“ წეს და როგორც ამბობენ ასეთი წესები ქალებზედაც იყო გავრცელებული.

განვიხილოთ დღევანდელი პირობები. ყველასათვის აშკარაა, რომ ხალხის უმრავლესობა აუტანელ პირობებში ხცხოვრობს, ყველაფერს მოკლებულია, ხოლო უმცირესობას ყველაფერი აქვს და ყველაფერი ხელს უწყობს ადამიანურ ცხოვრებისთვის. იმათ, ვისაც ცხადზე უცხადესათ არ მიაჩნია ეს და კიდევ ეჭვი ებადება ასეთ უსამართლობაზე, ჩვენ ვურჩევთ სტატისტიკას მიმართოს, რომელიც სავსებით და ცოცხლათ დაუხატავს დღევანდელ მდგომარეობას.

თავისთავათ ეკონომიური უთანასწორობა ისეთი დიდი ცოდვა არ არის: როგორც ვსთქვით შრომა სიმდიდრის საუნჯეა და ისინი, რომ ღარიბები ყოფილიყვენ ვინც არ შრომობს, ეს უსამართლობა არ იქნებოდა, მაგრამ მაგარი ის არის, რომ საქმე ასე

არ არის. დღევანდელ ცხოვრებაში სულ წინააღ-
მდეგს ვხედავთ, ბურჟუაზიულ ეკონომისტ ჯონ
სტიუარტ მილლის თანახმათ, რომელიც ჩვენს მოწი-
ნააღმდეგეთ ავტორიტეტათ მიაჩნიათ, თანამედროვე
საზოგადოებაში სიმდიდრე შრომის და გვარათ არ
იყოფა. ვინც ყველაზე მეტს შრომობს ის ყველაზე
ცოტას იღებს; ვინც ცოტას ან სულ არ შრომობს
და პირდაპირ ან არაპირდაპირ სხვებს ამუშავებს,
ყველაზე მეტს ღებულობს. სიღარიბე შრომის შვი-
ლია, სიმდიდრე კი უსაქმურობის. მუშებს, რომლე-
ბიც ქმნიან, ეგრეთ წოდებულ ნაციონალურ სიმდი-
დრეს, არავითარი მონაწილეობა არა აქვთ შიგ, მთე-
ლი სიმდიდრე მხოლოდ იმათი საკუთრება ხდება
ვინც არავითარ ძალას არ ხარჯავს მის შექმნაში. ამ-
გვარი უთანასწორობა საზიზღარი უსამართლობაა,
ასეთი უსამართლობა წაუშლელ ჩირქს სცხებს მთელ
ცივილიზაციას და ვისაც კი იოტის ოდენა სინიდისი
და პატიოსნება შერჩენია უნდა ცდილობდეს ამ ჩირ-
ქის მორეცხას. პალლიატიურ (დროებით) ზომებს აქ
ადგილი არ აქვს, აქ საჭიროა ამ უსამართლობის ძირი-
ანათ ამოგლეჯა. ყოველივე სიმდიდრე შრომის ნაყო-
ფია. ამბობს პოლიტიკური ეკონომია, მაშასადამე რაკი
ეს ასეა, შრომამ უნდა მოიმკოს შრომის ნაყოფი—ამას
მოითხოვდა სამართლიანობა, ამას თხოულობს სო-
ციალდემოკრატია. დღევანდელი უსამართლობა იმის
შედეგია, რომ შრომა თავისთვის კი არ შრომობს,
შრომა ყიდის თავის თავს, ყიდის სხვის სანებივრებ-
ლათ და სახრავათ. ერთი სიტყვით უსამართლობის
თავი და თავი მიზეზი დაქირავებული შრომის სის-

ტემაა. დღევანდელი უსამართლობის მოსპობა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა შრომა თავისთვის იშრომებს და სხვის სახრავათ აღარ იქნება.

შრომა მაშინ არის ნაყოფიერი, როცა ის სასაზოგადოა და არა კერძო. მაშასადამე ყველა ადამიანისთვის საზოგადო შრომა და საზოგადო სარგებლობა შრომის ნაყოფით. დაქირავებული შრომის მაგიერ სოციალისტური ასოციაცია (კავშირი, ამხანაგობა) აი როგორ გვინდა ჩვენ შევსცვალოთ დღევანდელი ექსპლოატაციის სისტემა.

„კი, მაგრამ კაპიტალს სადღა ექნება ალაგი“-ო? იკითხავენ. იქ სადაც მისი ალაგია—შრომასთან, კაპიტალი არსებობს მხოლოდ შრომის წყალობით, კაპიტალი უნდა არსებობდეს მხოლოდ შრომისთვის. მართლა არიან ისეთი ზნედაცემული ადამიანები, რომლებიც უსირცხვილოთ ამტკიცებენ იმას ვითომ კაპიტალს, როგორც შრომას, შეეძლოს სიმდიდრის შექმნა. ეს რომ ეს ულინიდისო სიცრუეა უბრალო მაგალითით დავამტკიცებ. ვსთქვათ მთელი ქვეყნის კაპიტალისტებმა მოაგროვეს ერთ ალაგს თავიანთი კაპიტალი და შეინახეს. ერთი წლის განმავლობაში კაპიტალი ისევ ის დარჩება და ერთი გროში ზედმეტი ღირებულება არ მოემატება, სამაგიეროთ კაპიტალის ფასი ძალიანს დაიწევს. კაპიტალი არამც თუ შრომის შვილია, მას არ შეუძლია ზრდა, მას არ შეუძლია არსებობა უშრომოთ, კაპიტალს არავითარი უფლება არა აქვს შრომასთან, იმ დროს როდესაც შრომას სრული უფლება აქვს მისი დასაკუთრების. წარმოების არსებულმა ფორმამ კაპიტალისა და შრო-

მის შორის სულ სხვა დამოკიდებულება დაბადა და შრომა კაპიტალის მონათ გახადა. იქნება ბგონიათ, რომ ჩვენი დაქირავებული შრომა მონობა არაა? განა დღევანდელი დაქირავებული მუშა ძველ მონებზე უფრო თავისუფალია მით, რომ შეუძლია ხაზეინი გამოიცვალოს? განა ეს თავისუფლებაა? განა შიმშილი უფრო მაგრათ არ უბოჭავს ხელ-ფეხს დღევანდელ მუშას, ვიდრე ძველ მონას რკინის ბორკილი?! „დღევანდელი მუშები უკეთეს მდგომარეობაში არიან ვიდრე ძველებიო“ ამბობენ ჩვენი მოწინააღმდეგენი. ჩვენ არ შევეხებით თუ რამდენათ სიმართლესთან ახლოა ეს ბავშვური მოსაზრება და თუ გინდ სიმართლეც იყოს ეს ვერაფერს ვერ ამტკიცებს. ცხოვრების გაუმჯობესებას კი არა თანასწორობას თხოულობს მუშა სოციალდემოკრატი. მას აღარ უნდა იშრომოს სხვისთვის, მას უნდა, რომ ყველა ერთნაირათ შრომობდეს და თანაბრათ სარგებლობდეს შრომის ნაყოფით. მას იმდენი ლოღიკა შესწევს და სიმართლის გრძნობა აქვს, რომ უპირატესობას ის თავის დღეში არ თხოულობს თავისთვის, მარა არც ფეხქვეშ გათელილი ცხოვრება უნდა.

თანამედროვე წარმოების ფორმის გაგრძელება ხელს უშლის საზოგადოების არსებობას. თუმცა მსხვილი წარმოების განვითარება პროგრესიული იყო, მარა დღეს ის საზოგადოების ზრდა-განვითარების დამაბრკოლებელი შეიქნა. ის უკვე აღარ აკმაყოფილებს საზოგადოებას ე. ი. უმრავლესობის მოთხოვნილებას, ის მხოლოდ უმცირესობის სახრავია, რომ

ლებიც არხეინათ უწოდებენ თავის თავს „საზოგადოებას“. მიუხედავათ შრომის ნაყოფის უსამართლოთ გიყოფისა, კაპიტალისტურ წარმოებას არ შეუძლია დააკმაყოფილოს საზოგადოების ყველა წევრის მოთხოვნილებები, ამიტომ ის უნდა შეიცვალოს წარმოების უმაღლეს ფორმით, რომელიც სრულიად დააკმაყოფილებს ამგვარ მოთხოვნილებებს. მხოლოდ საზოგადოებრივ წარმოებას, შრომის სოციალისტურ ორგანიზაციას, რომელიც ერთათ მოგროვილ საზოგადოებრივ კაპიტალს საზოგადოებას მოახმარს, შეუძლია ამ უსამართლობის ძირიანათ ამოგდება.

ჩვენ გვიკიჟინებენ ვითომ ჩვენ გვინდოდეს არსებული წეს-წყობილების დანგრევა და მის ნანგრევებზე რაღაც ფანტასტიური შენობის აგება. ეს დიდი შეცთომაა. ჩვენ გვსურს თავიდან ავიცილოთ მხოლოდ ის, რაც ხელს უშლის საზოგადოების გონივრულ ზრდა-განვითარებას. ჩვენ გვსურს, რომ უმრავლესობის ინტერესები მსხვერპლათ არ ეწირებოდეს უმცირესობის ინტერესებს და კერძო პირების პოლიტიკურ და სოციალურ უფლებების მონოპოლიის მაგიერ ხალხის უფლება და ინტერესები იყოს. თანამედროვე წეს-წყობილებას, რომელმაც უკვე საზღვარს გადააცილა და სრულიათ არ აკმაყოფილებს საზოგადოების კულტურულ მოთხოვნილებას, საშუალება უნდა მოუსპოთ, რომ მას არ შეეძლოს ახალი ცხოვრების მიმდინარეობის შეფერხება. ჩვენ გვსურს ჩვენი კულტურის ზრდა-განვითარება და ამის შემაფერხებელი დღეს კლასობრივი ბატონობაა. დღეს რომ ვინმემ სთქვას, მოვსპოთ

მანქანები და საშუალო საუკუნოების წვრილი წარ-
მოება შემოვიღოთო, უსათუოთ მას გიჟს დაუძახე-
ბენ, რადგან ყველამ იცის, რომ წვრილ წარმოების
შემდეგ, ფეხი მოიკიდა უფრო მაღალმა, უფრო სარ-
გებლიანმა, მსხვილმა წარმოებამ. საშუალო საუკუ-
ნოებში ან გასული საუკუნის ნახევარში, რომ ვინ-
მეს ეთქვა, წვრილ წარმოებას ნაკლები სარგებლო-
ბა მოაქვს და სამრეწველო რევოლიუცია ჩქარა აღ-
გვის მას პირისაგან ქვეყნისაო, იმას ისე შიშით და
გაოცებით შეხედავდენ, როგორც გვიმზერენ ჩვენ
დღეს დღევანდელი წეს-წყობილების ანუ უწესოე-
ბის თაყვანის მცემლები. 50 წლის შემდეგ რომ ვინ-
მემ ხმა ამოიღოს, დღევანდელი წეს-წყობილების შე-
მოღებაზე, ის უსათუოთ საგიჟეში ამოყოფს თავს.
ჩვენ, მართალია, დაგვცინიან და გვდევნიან, მარა
ისტორია მაინც თავისას გაიტანს და დღევანდელი
წარმოების ფორმა სხვა ფორმით შეიცვლება და ამ
ცვლილებას მოყვება ყოველივე, როგორც პოლი-
ტიკური, ისე სოციალური წყობილების გარდაქმნა.
ჩვენ, როგორც ზოგიერთები გვეძახიან, უტოპის-
ტები არა ვართ, უტოპისტები ისინი არიან, რო-
მლებსაც სწამთ ცვალებადი ფორმების უცვლე-
ლობა და შესაძლებლათ სცნობენ ძალდატანებით
ისტორიული ნახტომის გაკეთებას. ჩვენ ისეთ არა-
ვითარ განსაკუთრებულ პრინციპებს არ ვაყენებთ,
რომელზედაც ჩვენ გვინდოდეს ჩვენი მოძრაობის
აშენება. ჩვენი თეორეტიული მოძღვრება სრუ-
ლიადაც ამა თუ იმ ხალხის ძალათ მაცხონეთა
გამოგონილ „იდეებსა“ და „პრინციპებზე“ არაა

დამყარებული. ის არის მხოლოდ საზოგადო გამოხატულება არსებული კლასობრივი ბრძოლის ფაქტიური დამოკიდებულების, ისტორიული მოძრაობის, რომელიც ჩვენ თვალწინ ხდება.

ამ განმარტების შემდეგ ჩვენი პროგრამის პირველი ნაწილი (I და II მუხლი) ყველასათვის ადვილი გასაგებია. უბრალო მაგალითით შეგვიძლია იმის დამტკიცება, რომ სიღარიბის და მონობის მიზეზი არის (უმთავრესათ პოლიტიკურის) მუშათა კლასის ეკონომიური დამოკიდებულება კაპიტალთან. ვსთქვათ მაგალითათ რომელიმე ხალხს სრული პოლიტიკური უფლება აქვს მინიჭებული, საყოველთაო არჩევნებითი უფლება, თავისუფლება ბეჭდვის, სიტყვის, კრების და სხვ., მაგრამ თან კაპიტალისტური წარმოების, დაქირავებული შრომის, სისტემა ისევ ძველი რჩება. სად მიგიყვანს ეს? უთანასწორობასთან. ხალხის უმრავლესობა ისევ ღატაკი დარჩება და მთელი სიმდიდრე რამდენიმე კაცის ხელში დარჩება; აქედან კი მშრომელი ხალხის უმრავლესობა ეკონომიურათ დამოკიდებული იქნება უმცირესობისაგან და ეს ეკონომიური დამოკიდებულება ოცნებათ აქცევს პოლიტიკურ თავისუფლებას და წაართმევს მას ყოველივე პრაქტიკულ მნიშვნელობას. განა ჩვენ არ გამოგვიცთია რეიხსტაგში არჩევნების დროს, რომ ვიღაც კაპიტალისტს მეტი ძალა აქვს თავის დაქირავებულ მონებზე და უფრო მეტი გავლენა, ვიდრე რომელიმე უკიდურეს რეაქციონურ სახელმწიფოს??

ავიღოთ წინააღმღეგი შემთხვევა: ვსთქვათ ხალ-

ხი პოლიტიკურ თავისუფლებას მოკლებულია, მარა შრომა თავისუფალია და ჩვენი მოთხოვნილების თანახმათ თვითეულ მუშას აქვს უფლება თავის ნაშრომზე, იმდენათ, რამდენათ ამას არ ეწინააღმდეგება საზოგადო ინტერესები. ეხლა ვიკითხოთ სად მიგვიყვანს ასეთი თავისუფლება? გაბატონებული კლასი ჩქარა დაკარგავს თავის ძალას, რომელსაც, განსაკუთრებით თანამედროვე წარმოების, შრომის გაყვლეფის ფორმაში ღრმათ აქვს ფესვები გამდგარი და ეკონომიური თავისუფლება ჩქარა საშუალებას მისცემს მასას მოიპოვოს პოლიტიკური თავისუფლებაც. ცხადია, რომ არც პირველი და არც მეორე შემთხვევა ცხოვრებაში არ მოხთება, რადგან სოციალური და პოლიტიკური კითხვები მაგრათ არიან ერთი მეორეზე გადაჯაჭვული და ცალ-ცალკე მათი განხორციელება შეუძლებელია.

სოციალდემოკრატიას უნდა, რომ სამუდამო ჯარი, ეს ხალხის დაჩაგვრა დამონავების და ომის მადის ღმძვრელი იარაღი მოისპოს და ჯერ კიდევ სანამ ომი შესაძლებელია შეიცვალოს სახალხო მილიციით. ყველა მოქალაქე ვალდებულია. ბავშობიდანვე შეეჩვიოს იარაღის ხმარებას, რომ სამხედრო საქმე იცოდეს. როცა ყოველი მოქალაქე სალდათია მაშინ ყოველი სალდათი მოქალაქეა. თანამედროვე ცხოვრებაში სწავლა-განათლება მხოლოდ ზოგიერთების პრივილეგიას შეადგენს. და მათ სწავლა-განათლებას მხოლოდ კლასობრივი ბატონობა უდევს სარჩულათ. ხალხის უმრავლესობა კი დღეს ჯაუნათლებელია და თუ ვინმე იღებს სწავლა-განათლებას

ისიც გადამახინჯებულს. მათ ნიჭს ათასგვარი დაბრკოლება ელობება წინ, რადგან ნამდვილ ადამიანურათ აღზრდილი ხალხი თავის დღეში ვერ აიტანდა ამგვარ პოლიტიკურ და სოციალურ პირობებს. ნამდვილი ზნეობრივი და გონებრივი სწავლა-განათლება და არა ისეთი, როგორიც დღესაა, დედაა თავისუფლების, სამართლიანობის და თანასწორობის, ამიტომაც დღევანდელ კლასობრივ ბატონობასთან მას ადგილი არ აქვს. სოციალდემოკრატიის მიზანია ყველასათვის სავალდებულო და ფართო სწავლა-განათლება შემოიღოს ყველა სასწავლებლებში (რეალურში, პროფესიონალურ სასწავლებელში, გიმნაზიებში, აკადემიებში და უნივერსიტეტებში). საყოველთაო განათლება განურჩევლათ სქესისა, წოდებისა და სარწმუნოებისა. სოციალდემოკრატიის აზრით სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს ყველა მოქალაქეთა ზნეობრივ და ფიზიკურ აღზრდაზე, ამიტომ სოციალდემოკრატიული სახელმწიფო ერთი ვებერთელა საყოველთაო სასწავლებელი იქნება.

თანამედროვე სახელმწიფოში იუსტიციისთვის მასხრობით დაურქმევიათ ასეთი სახელი. იუსტიცია ნიშნავს, პირდაპირ, სამართლიანობას, და განა შეიძლება ისეთ წეს-რიგს, ისეთ წეს-წყობილებას, სადაც, როგორც კერძოთ ისე საზოგადოთ, ყოველ ფეხის გადადგმაზე ირღვევა ელემენტარული სამართლიანობა ასეთი სახელი ვუწოდოთ?! მხოლოდ სულელს შეუძლია კერძო პიროვნებას დააბრალოს ის, რაც მთელი სისტემის, მთელი ისტორიული მექანიზმის გამოწვეულია. როცა თვით სახელმწიფოს და საზოგა-

დოებას უსამართლობა უძევს საფუძვლათ, მაშინ ეს გარემოება იუსტიციასაც თავის-თავათ უსამართლობის ბუდეთ ქმნის. უნდა გაგრძელდეს ასეთი წეს-წყობილება?! სოციალდემოკრა ტიას უნდა იუსტიცია სიმართლის წარმომადგენელი იყოს და ამის განხორციელება შეიძლება მხოლოდ თავისუფალ სახელმწიფოში.

ნორმალურათ მოწყობილ სახელმწიფოს შეუძლია ძირიანათ აღმოფხვრას ყოველივე დანაშაულობა, რომელიც პირდაპირი შედეგია სახელმწიფოს უკულმართ წეს-წყობილების.

ასეთ ნორმალურ სახელმწიფოს დაარსებამდე, სოციალდემოკრატია თხოულობს სახალხო სასამართლოების დაარსებას (ნაფიც მსაჯულებს და სამედიატორო სამართალს სადაც ეს შესაძლებელია) და უფასო სამართალს. სახალხო სასამართლო, რომელსაც ჩვენ ვთხოულობთ ისე განსხვავდება დღევანდელ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსგან, როგორც დღევანდელი სახელმწიფო ხალხურ სახელმწიფოსგან. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მდიდრების მონოპოლიათ არ უნდა გახდეს, ის არ უნდა იყოს კლასობრივი იუსტიცია, სადაც მდიდრების წარმომადგენელი ასამართლებს გაყვლეფილი ხალხის წარმომადგენელს. ასეთ სასამართლოში გაბატონებული კლასი ცდილობს კანონის მანტიის ქვეშ დამალოს კლასობრივი განხეთქილება. არა!, ასეთი ნაფიცი მსაჯულები ჩვენ არ გვინდა! ნაფიცი მსაჯულები ხალხის გულიდან უნდა გამოვიდეს, საყოველთაო არჩევნების გზით, რომ სამართალი ნამდვილი ხალხური სამართალი იყოს.

როცა ორ კლას, გაყვლეფილს და გამყვლეფელს ხშირათ აქვს ერთი მეორესთან საქმე და ხშირათ ხვდებიან ერთმანეთს, მათი ურთი ერთ შორის დამოკიდებულება აშკარა და ცხადია. გაბატონებული უმცირესობა განაგებს ყველა საქმეებს, ყველა გადასახადებს თუ სხვა მოთხოვნილებებს მის ხელქვეითებს ადებს კისერზე, შემოსავალს მხოლოდ თავის სასარგებლოთ ხარჯავს და საწყალ ტყავ-გამძვრალ „პლებსს“ თავის ნასუფრალს უყრის თავის ძვირფას სუფრიდან. მუშების სისხლით და ოფლით მდიდრები თავიანთ შვილებისათვის აშენებენ სასწავლებლებს, სადაც მუშათა შვილებისთვის კარები დახშულია, აგებენ თავიანთ გასართობათ ვებერთელა თეატრის შენობებს, სადაც მუშებს არ შეუძლია შიგ ფეხი შედგან, რადგან შიგ შესვლას ზღაპრული ფასი აძევს. თუმცა დღეს ეს მუშებისთვის მაინცა და მაინც საზარალო არ არის, რადგან დღევანდელი თეატრი საოსკიპო სახლს უფრო გავს, ვიდრე ხელოვნების ტაძარს. მოკლეთ რომ ვსთქვათ გაბატონებული კლასი ერთი და იგივე პრინციპებით ხელმძღვანელობს როგორც სახელმწიფოში ისე საზოგადოებაში. ამ პრინციპების შესახებ საჭიროა სასტიკი ზომების მიღება. ამიტომ სოციალდემოკრატია თხოულობს, როგორც სახელმწიფოსთვის ისე თემისთვის (община) საყოველთაო, პირდაპირ და თანასწორ არჩევნებითი უფლებას, ფარული კენჭის ყრით; სრულიად გათანასწორებას უფლების მხრით, როგორც მოქალაქეთა ისე სოფლელებისთვის.

თემი (община) და სახელმწიფო ისე რომ გადავაკეთოთ როგორც საჭიროა ე. ი. თავისუფალ და თანასწორ ხალხის კავშირათ, რომლებიც ძმური სოლიდარობით და ერთი მეორის დახმარებით მიაღწევენ უმაღლეს წერტილს ფიზიკური და ზნეობრივი კეთილდღეობისას, საჭიროა თანამედროვე საზოგადოების ეკონომიური საფუძვლის შეცვლა, რადგან მაზე დამყარებულ სახელმწიფოს და საზოგადოების უხეირო წეს-წყობილება ეკონომიური პირობების პირდაპირი შედეგია.

რა სურათს წარმოადგენს თანამედროვე საზოგადოება?

კაპიტალისტური წარმოების წყალობით გამწვავებული ბრძოლაა მუშებსა და კაპიტალისტს შორის; კონკურენციის წყალობით ბურჟუა ბურჟუას ებრძვის და მუშა მუშას... სოციალდემოკრატიას უნდა ბოლო მოუღოს ამ გაუთავებელ ბრძოლას. მას სურს მშვიდობიანობა ჩამოაგდოს ხალხში. მარა ეს კი ცხადია, რომ სანამ სამხედრო წესების მიზეზები იქნება, მანამდე მშვიდობიანობა ტყუილი ოცნებაა.

თანამედროვე კლასობრივი ბატონობა მისი დაქირავებული მონობით, მისი ეკონომიური მტაცებლობით, მისი მრეწველობის, ვაჭრობის და ფულის კრიზისებით, მისი ბირჟაზე თვალმაქცობით, მისი ტყუილებით კომერციის ყველა დარგში, მისი ფალსიფიკაციით და მისი გაფიცვებით. აი ის მთავარი მიზეზები, რომლებზედაც დამყარებულია 'თანამედროვე სახელმწიფოს მთელი წეს-წყობილება.

მაშასადამე საზოგადოებაში და სახელმწიფოში მშვიდობიანობის, წესიერების, თავისუფლების და სამართლიანობის დასამყარებლათ აუცილებლათ საჭიროა დაქირავებული შრომის სისტემის გაუქმება. ამ სისტემის წყალობით და საწარმოო საშუალების (სახელვანო, მანქანები, მიწა, მადანი რკინის გზა და სხვა) უმცირესობის მონოპოლიით, შრომა რომელიც ქმნის საზოგადო ღირებულებას და სიმდიდრეს, მონობისა და სიღარიბის უღელშია გაბმული. სამუშაოს მიმცემი მდიდრდება თავის დაქირავებულ მუშების შრომით. მუშები შრომობენ და შრომის ფასათ თავის ნაშრომის ერთ ნაწილს აძლევენ, დანარჩენ უსასყიდლოთ წაგლეჯილს ნაწილს შრომისას კაპიტალისტი იტენის ჯიბეში, როგორც „მოსაგებს“ — ეს ისეთი მტაცებლობაა, რომელიც ჩვეულებრივ მტაცებლობისგან მით განირჩევა, რომ თანამედროვე კლასობრივ კანონებით ის დაუსჯელი რჩება. განა სამუშაოს მიმცემი, რომელიც ართმევს მუშას მისი შრომის ნაყოფის ნაწილს და თვითონ ჰყლაპავს, განსხვავდება რითიმე იმ „პატიოსან“ ავაზაკისგან, რომელიც რევოლვერით ხელში სძარცვავს ყველა გამვლელ-გამომვლელს? არაფრით, მარა უკანასკნელი კანონის ძალით ავაზაკათ არის აღიარებული და ისჯება, ხოლო პირველი კი ყოვლათ პატიოსანი ადამიანია.

თანაჰედროვე წარმოების ფორმა, რომელიც დაქირავებულ შრომაზეა დამყარებული ორ დასკვნამდე მიდის: ერთის მხრით კერძო საკუთრების რამდენიმე კაცის ხელში მოგროება და აქედან წარმომდგარი

მათი ზნეობრივი სიდუხჭირე. მეორე მხრით—მასის გაღატაკება, პაუპერიზმი (მათხოვრობა). მიუხედავათ მისგან შექმნილ აუარებელ სიმდიდრისა, მუშას საშუალება არა აქვს დააკმაყოფილოს თავისი უბრალო მოთხოვნილებები. ყოველგვარი ნაკლულოვანება, ანტიჰიგიენური სახელოსნოები და ქარხნის შენობები სწუწნიან მუშას სიცოცხლის ძალას, ისე როგორც კაპიტალისტი სწუწნის მას მისი სისხლით და ოფლით შექმნილს სიმდიდრეს. მას ელის ადრე დაჭკნობა და უდროოთ სიკვდილი, მან არ იცის ოჯახური ცხოვრება, მისი ცოლ-შვილი ქარხანაში მიდის სამუშაოთ რადგან მისი დღიური ქირა ვერ აკმაყოფილებს მათ მოთხოვნილებას; მის მოზარდ ქალებს ორი გზა აქვთ, ან მოკლე და ბრწყინვალე პროსტიტუციის გზა და ან ყოველივე სიტკბოებას მოკლებული, მოკლებული მზეს და ჰაერს, დაუსრულებელი ტანჯვა-წვალებითი ბედი ქალ-პროლეტარისა.

ყველა ვინც ამ საშიშარ მძიმე უღელ ქვეშ იჭაჭება ჩვენთან ერთათ დასძახებს „ძირს დაქირავებული შრომის სისტემაო“!!

„ძირს დაქირავებული შრომის სისტემა“! აი პირველი ძირითადი მოთხოვნილება სოციალდემოკრატიის, აი ალფა და ომეგა ჩვენი აგიტაციის. დაქირავებული შრომის და კლასობრივ ბატონობის მაგიერ შემოღებულ უნდა იქნას საამხანაგო შრომა, ასოციაცია (კოოპერატიული წარმოება); შრომის იარაღები უნდა გახდეს მთელი ხალხის საკუთრებათ და არა ერთი კლასის მონოპოლიათ, არ უნდა იყოს

არც გამყვლეფელი და არც გაყვლეფილნი. საჭიროა სრულიად მოისპოს თანამედროე წარმოება, რომელიც სხვის გაყვლეფასა და ცარცვა-გლეჯაზეა აგებული, აგრეთვე ვაჭრობაც რომელიც მოტყუების ბუდეა.

ერთობის და თანასწორობის საფუძველზე უნდა აშენდეს წარმოების ის ფორმა, სადაც მუშებმა უნდა გააკეთოს თავიანთი საჭირო მასალა, მათი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლათ. დაქირავებულ მუშების მაგიერ უნდა იყოს თავისუფალი მუშები. შრომა ყველასათვის სავალდებულო უნდა იყოს. ყველას ვინც კი შეასრულებს თავის მოვალეობას საზოგადოების წინაშე, უფლება ექნება ადამიანურათ იცხოვროს. შიმშილი მხოლოდ ზარმაცებისა და უსაქმო ხალხის დასასჯელათ იქნება.

ყველა ამის სისრულეში მოსაყვანათ თავდაპირველათ საჭიროა სახალხო სახელმწიფოს დაარსება, —სახელმწიფოს ყველასი და ყველასათვის; სახელმწიფოს, რომელიც ფონიერულ და სამართლიანათ მოწყობილ საზოგადოების თავისუფალი და თანასწორ უფლებებით აღჭურვილი ხალხის კავშირი იქნება.

ყველა ზემოთ ნათქვამის შემდეგ მეტია იმ მოთხოვნილებების ახსნა განმარტება, რომლებიც ჩვენი პროგრამის მეორე ნახევარშია მოთავსებული. როგორც სხვა და სხვა პარტიები და კლასები სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ ერთმანეთს და უნდათ ერთი მეორის გაქრობა, ისე ჩვენი მოწინააღმდეგენი არ გვაკლებენ ხელს და სამართლიან ბრძოლას ზურგს

აქცევენ და დაცინვით და ლანძღვა-გინებით უნდათ ჩვენი დამარცხება. უმთავრესი იარაღი ამ გვარ ბრძოლის სისტემის ისა აქვთ, რომ მვენ გვწამებენ ვითომ სოციალდემოკრატიას უნდოდეს მოსპოს საკუთრება, მოსპოს ოჯახი, შეაფერხოს სწავლა-განათლება და პირუტყულ გრძნობებით გამსქვალულმა ფეხ-ქვეშ გათელოს ქალების ადამიანური ღირსებაო. და სხვ. მრავალი ამისთანები. ამაზე უფრო უნამუსოთ და საზიზღრათ ქეშმარიტების გადამახინჯება შეუძლებელია. ჩვენი დროგასული საზოგადოება ბრალს გვდებს ჩვენ იმ დანაშაულობებში, რომლებისთვის ის ჩვენ გავასამართლეთ.

დღეს უწესოებაა გამეფებული და სოციალდემოკრატიას კი წესიერება სურს.

სოციალდამოკრატიას უნდა ყველას ქონდეს საკუთრება, მას სურს უზრუნველ ჰყოს მუშა საზოგადოების ფარგალში ისარგებლოს თავის შრომის ნაყოფით.

ნამდვილ და არა უტოპიურ პრინციპების ხელმძღვანელობით ჩვენ ვცდილობთ კლასობრივ სახელმწიფოს მოსპობას თავის კანონებით და კლასობრივი ბატონობით.

თავისუფალი ხალხური სახელმწიფო, ეკონომიური და პოლიტიკური თანასწორ უფლებით, თავისუფალი საზოგადოება საამხანაგო შრომით—აი ჩვენი მთავარი მიზანი.

ამ მიზნის მისაღწევათ საჭიროა ჩვენი მჭიდროთ შეკავშირება, ჩვენი ორგანიზაცია. ისე შეუძლებელი პროპაგანდა, აგიტაცია. მხოლოდ შეერთებულ ძალას შეუძლია დაამსხვრიოს ეს რკინის ბორკილები.

როგორც პოლიტიკური ისე ეკონომიური პირობები არსებითად ყველა სახელმწიფოში ერთგვარია. დღეს არც ერთი სახელმწიფო არაა მეორისგან გაყოფილი ჩინურ კედლებით. მიუხედავათ ყველა ხელოვნურ დაბრკოლებისა, ყველა ქვეყნები გადიან საზოგადო კულტურას, საზოგადო ისტორიას. თვითეულ ქვეყანას აქვს გავლენა მეორეზე და თავის მხრივ სხვის გავლენის ქვეშ არის. ამიტომ დღეს პარტიები, ცოტათ თუ ბევრათ საერთაშორისო არის. მით უმეტეს ჩვენი პარტია, რომელიც ვიწრო ნაციონალური საზღვრებით არ არის შემოზღუდული და ყველა ხალხს ისე უყურებს როგორც მოქალაქეს. თუმცა იმ სახელმწიფოში, რომლის მოქალაქეც ჩვენ ვართ უფრო მეტი სამოქმედო ასპარეზი გვაქვს, მარა იმავე დროს არ გვავიწყდება მთელი ქვეყნის ხალხის მოქალაქობა, ხალხის საზოგადო ძმობა-ერთობა. ჩვენ არ გვავიწყდება, რომ სადაც მუშისა და გაუვლეფილი ხალხის ინტერესებისთვის იბრძვიან იქ იბრძვიან ჩვენთვის.

აი ჩვენი პროგრამა:

ჩვენ გვინდა სამართლიანობა და ვებრძვით უსამართლობას.

ჩვენ გვინდა თავისუფალი შრომა და ვებრძვით დაქირავებულ შრომას.

ჩვენ გვინდა საყოველთაო კეთილდღეობა და ვებრძვით სიღატაკეს.

ჩვენ გვინდა საყოველთაო განათლება და ვებრძვით გაუნათლებლობას.

ჩვენ გვინდა ხალხური სახელმწიფო და ვებრძვით კლასობრივ სახელმწიფოს.

II

ერფურტის პარტეიტაგმა 20 ოქტომბერს 1891 წ. მიიღო პარტიის პროგრამა შემდეგი ფორმით:

„ბურჟუაზიული სახელმწიფოს ეკონომიური განვითარება, ბუნებრივის აუცილებლობით, საბოლოოთ ძირს უთხრის წვრილ წარმოებას, რომლის უმთავრესი საფუძველი ის არის რომ მუშას თავისი საკუთარი საწარმოო საშუალება აქვს. ის ხელიდან ჰგლეჯს მუშას საწარმოო საშუალებას და აპროლეტარებს მას იმ დროს, როდესაც საწარმოო საშუალება მცირე რიცხოვან კაპიტალისტთა და მიწის მფლობელთა ხელში გადადის და მათ მონოპოლიათ ხდება.

საწარმოო საშუალების მონოპოლიასთან ერთათ მსხვილი წარმოება თანდათან გუდანაბადს აკრეფიებს წვრილ წარმოებას. სახელოსნო იარაღის ალაგს მანქანა იჭერს. აქაც, როგორც ყველგან გაბატონებულია კაპიტალისტი და მიწისმფლობელი. პროლეტარებისთვის და დაცემულ წვრილ ბურჟუაზიისთვის ეს პროცესი იმდენათ საგრძნობელია, რომ მათ სრულიად ეკარგებათ იმედი ხვალინდელ დღეზე. სიღარიბე, დამცირება, დამონება და გაყვლეფა თანდათან მკვიდრ საფუძველს იდგამს მათში.

ამ პროცესის წყალობით თან და თან იზრდება პროლეტართა რიცხვი, იზრდება უსაქმოთ დარჩენილ მუშათა რაზმი და გაყვლეფილთა და გამყვლეფელთა შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა იმართება.

კაპიტალისტურ წარმოების თან დაყოლილი კრიზისები თან და თან აღრმავებს იმ უფსკრულს, რომელიც მდიდრებსა და ღარიბებს ორ მტრულ ბანაკათ ჰყოფს და სიღარიბესა და შიმშილს მკვიდრ საფუძველს უდგამს. ეს პირდაპირი შედეგია იმისი, რომ წარმოებითი ძალამ გადააჭარბა თანამედროვე საზოგადოებას და საწარმოო საშუალების კერძო საკუთრება წარმოების სრულ ზრდა-განვითარებასთან ვერ მოთავსდება.“

საწარმოო საშუალება, როგორც კერძო საკუთრება, ოდესღაც უზრუნველ ჰყოფდა თვით მეწარმოებელს მიესაკუთრებია თავის ნაწარმოების ნაყოფი, დღეს კი ის გლეხების, წვრილ ხელოსნების და წვრილ ვაჭრების გასაყვლეფ იარაღათ გახდა და მუშის სისხლით და ოფლით მონაგარი კაპიტალისტთა და მემამულეთა საკუთრებათ შეიქმნა. მხოლოდ კაპიტალისტური კერძო საკუთრების საწარმოო საშუალების, საზოგადო კუთვნილებათ გადაქმნას და კაპიტალისტურ წარმოების სოციალისტურ წარმოებათ შეცვლას შეუძლია ბოლო მოუღოს სხვის გაყვლეფას და სხვისი შრომით გამდიდრებას.

მუშათა კლასის კაპიტალისტურ გაყვლეფის წინააღმდეგ ბრძოლა აუცილებლათ თავისთავათ პოლიტიკურ ბრძოლათ იქცევა. მუშათა კლას არ შეუძლია ეკონომიური ბრძოლა და ეკონომიური ორგანიზაციების შექმნა, თუ კი პოლიტიკური უფლებები არ ექნება. მას არ შეუძლია წარმოების საშუალების საზოგადო საკუთრებათ გარდაქმნა, თუ კი მის ხელში პოლიტიკური უფლებები არ იქნება.

სოციალდემოკრატიული პარტიის ვალია, დააყენოს სწორე გზაზე მუშათა კლასი, მისცეს მათ ბრძოლის შეგნებული ხასიათი და დაანახოს მათ პირდაპირი მათი მიზანი.

მუშათა კლასის ინტერესები ყველა ქვეყნებში ერთი და იგივეა, სადაც კი კაპიტალისტური წარმოებაა გამეფებული. მთელი ქვეყნის კაპიტალისტურ წარმოების განვითარებამ და საქონლის გაცვლა გამოცვლამ თანდათან დაუკავშირა ერთი ქვეყნის მუშათა მდგომარეობა მეორისას. ამიტომ მუშათა კლასის განთავისუფლება მთელი ქვეყნის მუშების საქმეა, რომელშიაც ყველა კულტურულ ქვეყნის მუშები მიიღებენ თანასწორ მონაწილეობას. ამ ფაქტის ზეგავლენით გერმანიის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია უერთდება ყველა ქვეყნის შეგნებულ მუშებს.

ამ გვარათ გერმანიის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია იბრძვის კლასობრივ ბატონობის და თვით კლასების მოსასპობათ და არა კლასობრივ უპირატესობისთვის, როგორც ეს ჩვენ მოწინააღმღეგეთ ჰგონიათ.

ამ პრინციპების მიხედვით გერმანიის მუშათა პარტიის მოთხოვნილებები შემდეგია:

1) საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნებითი უფლება, ფარული კენჭის ყრით, განურჩევლათ სქესისა. არჩევნების პროპორციონალური სისტემა და სანამ ეს შემოიღებოდეს, მუდამ, მცხოვრებთა აღწერის დროს, საარჩევანო ოლქებათ და-

ყოფა. ორწლიანი კანონმდებლობითი დრო. დანიშვნა არჩევნების და ხმის მიცემა დაკანონებულ უქმეების შესახებ. არჩეულ წარმომადგენლის დასაჩუქრება. ყოველივე პოლიტიკურ უფლებების შეზღუდვის გაუქმება, გარდა ოპეკუნობისა.

2) პირდაპირი, ხალხური კანონმდებლობა, მიღების და უარის თქმის უფლებით. ხალხის თვითმმართველობა, როგორც სახელმწიფოში, ისე პროვინციებში და თემებში. ხალხისგან არჩევა თანამდებობის კაცების და მათი პასუხის გება ხალხის წინაშე.

3) ხალხის, საყოველთაო შეიარაღებისთვის გაწრთვნა, მუდმივ ჯარის სახალხო მილიციით შეცვლა. ომისა და ზავის პირობები გარდაეცეს განსახილველათ ხალხის წარმომადგენლებს. ყოველივე საერთაშორისო კითხვების გადასაწყვეტათ დაინიშნოს სამედიატორო სამართალი.

4) გაუქმება ყველა იმ კანონების, რომლითაც აღკრძალულია, თავისუფალი აზრი, სიტყვა საქმე, კრება და სხვა.

5) გაუქმება ყველა იმ კანონების, რომლებიც ქალების უფლებების შემზღუდველია.

6) საეკლესიო და სარწმუნოებრივი თემები კერძო კავშირებათ იქმნას აღიარებული.

7) სახალხო სკოლა. სავალდებულო სწავლა სახალხო სკოლებში. უფასო სწავლა და სასწავლო ნივთები, როგორც სახალხო სკოლებში, ისე უმაღლეს სასწავლებლებში, იმ მოწაფეთათვის, რომლე-

ბიც მათი ნიჭის მიხედვით ღირსი იქნებიან სწავლის გაგრძობის.

8) უფასო სამართალი და ყოველივე იურიდიული დახმარება. სასამართლოს საქმეები გადაეცეს ხალხისგან არჩეულ მსაჯულების. საქმის გადატანის უფლება (აპელლიაცია) სისხლის სამართლის საქმეში. უდანაშაულოთ დასჯილთა და დატუსაღებულთა დასაჩუქრება. სიკვდილით დასჯის გაუქმება.

9) უფასო სამკურნალო დახმარება. უფასო დასაფლავება.

10) პროგრესიული გადასახადი შემოსავალზე და ქონებაზე. გადასახადი მემკვიდრეობაზე. გაუქმება ყოველივე პირდაპირ და არა პირდაპირ გადასახადისა.

მუშათა დასაცველათ გერმანიის მუშათა პარტია თხოულობს:

1) ნამდვილ ნაციონალურ, ხალხურ კანონმდებლობას მუშათა დასაცველათ, რომელსაც საფუძვლად შედეგი დაედება:

ა) დაწესება ნორმალურ სამუშაო დღის არა უმეტეს 8 საათისა.

ბ) აღკრძალვა 14 წლის ქვევით ბავშვების მუშაობის.

გ) ღამე მუშაობის აღკრძალვა გარდა მრეწველობას იმ დარგების, რომლებიც ან ტეხნიკურ მოსაზრებით და ან საზოგადო ინტერესების სასარგებლოთ თხოულობს ღამე მუშაობას.

დ) ყოველ კვირაში დასვენება მუშისთვის არა წაკლებ 36 საათისა.

2) ყველა წარმოების თვალყურის გდება როგორც ქალაქში ისე სოფელში და საზოგადოთ მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება, საოლქო და სასოფლო შრომის გამგეობისგან. საფუძვლიანი საქარხნო ჰიგიენა.

3) სოფლის მუშათა და შინა მოსამსახურეთა გათანასწორება უფლებით მრეწველ მუშებთან. შინაყმების შესახებ კანონების გაუქმება.

4) კავშირების სრული თავისუფლება.

5) მუშების სიცოცხლის დაზღვევა სახელმწიფოსგან, მუშების საკალდებულო მონაწილეობით საქმის წარმოებაში.“

ეს პროგრამა, რომელიც ერთ ხმათ მიღებულ იქმნა, სავსებით გაარჩია ლიბკნეხტმა თავის სიტყვაში, რომელიც მოგვყავს ოფიციალურ პროტოკოლიდან:

„დღეს შეუძლებელი შეიქნა პროგრამის განხილვა სხვა დროსთვის გადაგვედო, ამიტომ 16 სექტემბერს 1890 წელს ქ. გალლეში პარტეიტაგმა მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

„მივიღეთ რა მხედველობაში, რომ პარტიული პროგრამა, შეერთებული კონგრესის მიღებული ქ. გოტში 1875 წელს თუმცა თხუთმეტი წლის ბრძოლაში სავსებით ამართლებდა ჩვენ იმედებს, უმეტესათ სოციალისტთა შესახებ კანონების გამოცემის დროს, მარა დღეს ყველა მისი მუხლები ვერ აკმაყოფილებს დროს მოთხოვნილებას ⁄ ამიტომ პარტეიტაგმა დაადგინა შემდეგი: დაევალოს პარტიის გამგეობას, წარმოუდგინოს შემდეგ პარტეიტაგს პროგრამის ახლა შემუშავებული პროექტი, არა უგვიანეს

სამი თვისა მომავალ პარტეიტაგის გახსნამდე, რომ პარტიას შეძლება მიეცეს თავისი შეხედულება იქონიოს მაზე.

არას ვიტყვი გალლეში მომხდარ დებატების შესახებ. ჩემს კრიტიკას ძველი პროგრამის შესახებ, რომელიც მოთავსებული იყო ჩემს შარშანდელ პროგრამულ სიტყვაში, წინაალმდეგი არავინ გამოუჩნდა. ყველა თანახმა იყო იმისი, რომ ძველი პროგრამა სავსებით კომპრომისებზე იყო აშენებული და საჭირო იყო მისი შეცვლა. ყველა დამეთანხმება, რომ ახალი პროგრამის შემუშავება ადვილი საქმე არ არის, ისიც მოკლე დროში, მარა ამ გაჭირვებიდან გვიხსნა და დიდი ხელი შეგვიწყო ენგელსის გამოქვეყნებულმა მარქსის წერილმა 5 მარტიდან 1875 წლისა. მე მგონია ამ წერილის შინაარსი ყველა თქვენგანმა იცის. ის სავსებით განხილულია „ნოიე ცაიტ“-ში (პარტიული გაზეთია) და სხვა პარტიულ გაზეთებში და მოწონებული იყო ახალი პროგრამის პროექტის განხილვის დროს. არ შეეხები ამ წერილის შინაარსს, ხოლო არ შემიძლია პირადათ მე რამდენიმე შენიშვნა არ გავუკეთო. მოწინაალმდეგე მხარემ საყვედური გამოსთქვა, რომ ის პირები, რომლებისკენაც მიმართული იყო წერილი, ვითომც უპატიოსნოთ მოიქცენ თავის პარტიულ ამხანაგებთან, რადგან შეერთებულ კონგრესს 1875 წ. არ გააგებინეს წერილის შინაარსი. ჩვენ, რომ ეს ასე არ გვექნა, კონგრესი თავის მიზანს ვერ მიაღწევდა. წერილის გამოქვეყნება შეუძლებელი იყო, რადგან ის ფრიად საიდუმლო იყო. ჩვენ უკვე გა-

მოვთქვით „ფორვერტს“-ში (ესეც პარტიული გაზეთია) ჩვენი შეხედულება მარქსის წერილის პროგრამულ ნაწილზე. ამ წერილის გამოქვეყნების დროს საქმის ვითარება ამ გვარი იყო: სოციალდემოკრატთა ორ ფრაქციას „ეიზენახელებს“ და „ლასსალიანელებს“ გამწვავებული ბრძოლა ჰქონდათ ერთმანეთში. პირველათ ორივე მხარე ასე ფიქრობდა, რომ მათში პრინციპიალური განხეთქილება იყო, მარა ბოლოს და ბოლოს გამოირკვა, რომ ასეთი განხეთქილება მათში არასოდეს არ ყოფილა. რაც დრო გადიოდა, ორივე მხარე რწმუნდებოდა, რომ მათი შეერთება აუცილებლათ საჭირო იყო. თვითეული მათგანი დარწმუნებული იყო, რომ საქმე თხოულობდა შეერთებულ ძალას. ეს აზრი ისეთი სტიქიური სიძლიერით წარმოდგა, რომ თუ გინდ ორივე ფრაქციის ბელადები ძალიან მოწადინებული ყოფილიყვენ, მისი ჩაშლა შეუძლებელი იყო. რამდენიმე დღის წინათ აქ ლაპარაკობდა ჩვენი ძველი ამხანაგი, ჩვენი ტელკე; მან მოგვაგონა ჩვენ ამ ბრძოლის სამწუხარო შედეგი. ეხლა მე მინდა, მოვაგონო მას სასიხარულო ამბავი. ერთ მშვენიერ დღეს, ჩემი გუბერტსბურგის ციხიდან განთავისუფლების შემდეგ, მე ვიჯექი ლეიპციგში, რედაქციაში; ამ დროს შემოვიდა ჩემთან ვიღაც კაცი, რომელიც თითქოს სადღაც მენახა, მარა ვერ მოვიგონე მე ყურადღება არ მიმიქცევია ჯ განვაგრძე მუშაობა; მაშინ მითხრეს, ტელკე მოვიდა და თქვენი ნახვა უნდაო. მე მაშინვე წამოვდექი. ტელკე მოვიდა ჩემთან და ხელი გამომიწოდა მე, რასაკვირველია, მაშინვე

ჩამოვართვი. — ამისთვის წინდაწინ შერიგება საჭირო არ იყო. გავედით მახლობელ ოთახში. „ჩვენთვის საჭიროა შერიგება“, სთქვა ტელკემ და მეც მივაძახე: „დიახ, საჭიროა შერიგება“-მეთქი. ამ მომენტიდან შერიგება მომხდარი იყო ჩემთვის. როცა ამ ტაქტიკას დაადგენ ჩრდილოეთისკენ, გამბურგში, ალტონში და სხვა ქალაქებში, მაშინ ყველა ჩემი გერმანელ ამხანაგებისთვის ცხადი შეიქნა, რომ შერიგება აუცილებლათ უნდა მომხდარიყო. თუმცა ზოგიერთი გატაცებულნი წინააღმდეგი იყვენ, მარა საქმეს ეს ვერ აფერხებდა, ჩვენ ვიკრიბებოდით, რომ მოგველაპარაკნა პროგრამის შესახებ. ორივე მხარემ დაუთმო ცოტ-ცოტათი და ბოლოს დაადგენ იმ პროექტს, რომელიც ერთხმათ მიღებულ იქნა გოტის კონგრესზე. როცა მარქსმა გაიცნო ეს პროექტი, დასწერა წერილი, რომელიც ზოგიერთ ჩვენ-განისთვის „ეიზენახელებისთვის“ იყო დაწერილი.

ჩვენ დაწვრილებით განვიხილეთ წერილი; თვითონ მე მარქსის მოწაფე, რომელსაც მასთან ერთათ მივლია ეკლიანი გზა, მასთან ერთათ მისვამს მწარე ფიალა, ლონდონში გაძევებიდან დაწყებული, მე, რომელიც მუდამ ვამაყობდი მისი მოწაფეობით და ამხანაგობით, მე თვითონ შევჩერდი ამ საკითხის წინ: პარტიის ინტერესებისთვის უნდა მოვიქცეთ ეხლა ისე როგორც მარქსი გვეუბნება? მისი თეორეტიული შენიშვნა პროექტის წინააღმდეგ სრულიად მართალი იყო, ეს მე მაშინაც კარგათ ვიცოდი, როგორც ეხლა. საქმე იმაშია, რომ რამდენსაც არ ვრწმუნდებოდი მარქსის თეორიაში, პრაქტიკუ-

ლათ კი მე მაინც ჩემი გზით მივდიოდი. ხშირათ ვეკითხებოდი ხოლმე ჩემ თავს, შესაძლებელია თუ არა ეხლა ისეთი პროგრამის გატარება ცხოვრებაში, როგორც მარქსს უნდოდა? მე დავრწმუნდი, რომ ეს შეუძლებელი იყო და თუმცა ვშიშობდი რომ მარქსს არ დავშორებოდი—რაც მაინც მოხდა ცოტა ხნით—მე მაინც განვაცხადე ეს ასე არ ვარგა მეთქი; ძვირათ ვაფასებ მარქსს, კიდევ უფრო ძვირათ პარტიას (ვაშას ძახილი). ამ გვარათ ჩვენ მივახწიეთ ჩვენ საწადელს, შეეერთდით და ყველა ჩვენი ამხანაგები, აუერი, ბრაკე, გეიბი და სხვა—(ბებელი ამ დროს ციხეში იჯდა და მოლაპარაკებაში მონაწილეობა არ მიუღია)—ყველა ჩვენგანი, ასე მოიქცეოდა. ისეთი სამ ახური თავის დღეში არ გამიწევია ჩვენი პარტიისთვის, როგორიც მაშინ, როცა უარვჰყავი ჩემი მასწავლებლის მარქის რჩევა და შერიგების პროგრამის მომხრე გავხდი. ბოლოს მარქსიც თანდათან დარწმუნდა, რომ მისი შიში უსაფუძვლო იყო და სიკვდილამდე ამაყათ უმზერდა გერმანიის შეერთებულ სოციალდემოკრატიას. გოტის შემაერთებელმა პროგრამამ ისე შეგვაერთა ჩვენ რომ მას შემდეგ აღარც ყოფილა და არც იქნება სექტანტობა, მას შემდეგ შეუძლებელი შეიქმნა გერმანიის სოციილდემოკრატიის გაყოფვა. თუმცა რამდენიმე დაუდგრომელი და მოუმწიფებელი პირები ჩამოგვშორდენ, მარა ეს სრულიად უმნიშვნელოა, რაკი პარტია შეერთებული და მთელია. ჩვენ, „ეიზენახელებმა,“ რომლებიც წინ მივდიოდით ჩვენი მეცნიერული პროგრამით, ხელი გავუწოდეთ იმ მებრ-

ძოლთ, რომელნიც ცოტათი უკან ჩამოგვრჩენ, მარა მოკლე დროში „ლასსალიანელებიც“ ჩვენთან ერთათ იდგენ და იზიარებდენ ჩვენ რწმენას. თვითონ ყოფილი „ლასსალიანელები“ დარწმუნდენ, რომ მათი მოთხოვნილებები, როგორც მაგალითათ წარმოებითი ამხანაგობები სახელმწიფოს დახმარებით და სხვა დრო წასული იყო და სრულიად არ შეეფერებოდა ახალ პირობებს და მოძრაობას; ამით იმათ სრულიადაც ლასალი არ უარ უყვიათ. ამ გვარათ ცოტა ხნის განმავლობაში ორივე ფრაქცია ერთ სულ და ერთ გულ შეიქნა და ყოველივე განსხვავება გაქრა. თუ კი პარტიას ოდესმე ძალა გამოუჩენია, ეს სოციალისტთა შესახებ კანონების გამოცემის დროს გამოიჩინა. მე ბრძოლაზე არ ვამბობ, რომ არ გვებრძოლა ამ თორმეტი წლის განმავლობაში, ხომ სრულიათ მოგვსპობდენ, მე ვამბობ პარტიის მეცნიერულ ზრდა-განვითარებაზე ამ ბრძოლის დროს. გამუდმებულ ბრძოლასთან ერთათ პარტია გონებრივათ იწრთვნებოდა. თუმცა თეორია ადგილს უთმობდა პრაქტიკის საჭარო მოთხოვნილებებს და თეორეტიული განვითარება შეფერხებული იყო, მარა პარტიაში იყვენ ისეთი თავგანწირული მებრძოლნი, რომლებსაც არ ავიწყდებოდათ ამ დროს პარტიის მეცნიერულ სოციალიზმზე დამყარებული გონებრივი განვითარება. ორივე ფრაქციის ერთგვარი შეხედულება გამოჩნდა ქ. გალლეში.

შესანიშნავი მომენტი იყო, როცა გალლეს პარტეიტაგზე გამოაცხადეს, რომ ჩვენ ვსწყვეტთ ყოველივე კავშირს ლასსალიანელების უკანასკნელ

ნაშთებთან, და საჭიროდ ვსთვლით ახალი პირობების მიხედვით, ახალი პროგრამის შემუშავებას, რომელიც თანამედროვე მეცნიერებას შეეფერებაო. ეს გადაწყვეტილება ყველა დელეგატებმა ერთხმათ მიიღეს, წინააღმდეგი არავინ ყოფილა.

ყველა თანხმა იყო უარეყოთ და უკუეგდოთ ის, რაც დროს და მეცნიერებას არ შეეფერებოდა.

ეხლა მე გადავდივარ იმ პრინციპებზე, რომლებითაც ჩვენ ვიხელმძღვანელეთ პროექტის შედგენის დროს.

პირველათ არ უნდა დავივიწყოთ, რომ პროგრამა გასაგები და გარკვეული ენით უნდა იყოს შედგენილი, უნდა იყოს მოკლე და მეცნიერული, ეს ისე ადვილი არ არის. ადვილია, რამდენიმე ზედმეტი სიტყვა სთქვა პროგრამაში, რომ შეცდომა დაუშვა. პროგრამა დიდად განსხვავდება მანიფესტისაგან, რომელშიც, როგორც სარკეში, ისე ხედავს თავის სიყალბეს თანამედროვე საზოგადოება, როგორც მაგალითად 43 წლის წინეთ გამოცემულ კომუნისტურ მანიფესტში. სხვათა შორის საჭირო იყო დაწერილიყო ახალი მანიფესტი, ან უკეთ რომ ვსთქვათ ძველი შესწორებულ-შევსებულიყო.

ვინმეს რომ ახალი პროგრამის შედგენის შემდეგ ახალი მანიფესტიც შეედგინა, ძვირფას სამსახურს გაუწევდა პარტიას. პროგრამაში მანიფესტს კი არავითარი ადგილი არა აქვს.

რაც უნდა გარკვევით შედგენილი იყოს პროგრამა ის კომენტარიებათ მაინც ვერ გამოდგება. კომენტარიების შედგენა პარტიული აგიტატორე-

ბის, ჟურნალისტების და მეცნიერების საქმეა. პროგრამა უნდა შესდგებოდეს პრინციპებისგან და ამ პრინციპებისგან გამომდინარე მოთხოვნილებებისგან და მათი ახსნა-განმარტება კი მეტია პროგრამაში. პროგრამაში ის უნდა ითქვას მხოლოდ, რაც აუცილებლად საჭიროა მისი გარკვევით გამოსახატავათ.

ამ აზრის მიხედვით პროგრამის შესამუშავებლად შემდგარმა კომისიამ წინდაწინვე ვიცოდით, რომ ბევრი სიტყვები და წინადადებები თავიდან უნდა აგვეცდინა, რადგან ისინი მანიფესტს და კომენტარიებს უფრო შეეფერებოდა ვიდრე პროგრამას.

პროგრამის შედგენა ისე ყოვლად შეუძლებელია, თუ პარტიულ-მეცნიერული სკოლა არ გაქვს გავლილი. პროგრამის შემდგენელისთვის ყოველივე მოთხოვნილებები გამორკვეული და შეგნებული უნდა იყოს. ამხანაგებისთვის საჭიროა სწავლა-განვითარება, მათი განვითარება კი დამოკიდიბულია პროპაგანდა-აგიტაციაზე და პარტიულ ლიტერატურაზე.

ჩვენ მოგვთხოვეს, დაგვეწერა პროგრამა ნემეცურათ და უცხო სიტყვები არ გვეხმარა. ჩვენ კარგათ ვიცოდით ჩვენი მოვალეობა, რომ უცხო სიტყვების მაგიერ ნემეცური გვეხმარა, მარა ეს მოუხერხებელი შეიქნა, რადგან საერთაშორისო მეცნიერებამ უცხო სიტყვებს უკვე მოქალაქობრივი უფლება მიანიჭა. შეუძლებელია ნემეცურ ენაზე გადმოითარგმნოს სიტყვები: კაპიტალი, კაპიტალისტური, სოციალისტური და სოციალიზმი, ისე, რო-

გორც Produktion, produktun, produktivitat *) და სხ. ჩვენ ვსცადეთ, ზოგიერთი სიტყვები გადმოგვეცა ნემეცურათ, როგორც მაგალითათ სიტყვა „წარმოების საშუალება“-ს მაგიერ ჩვენ გვინდოდა გვეხმარა „შრომის იარაღი“; მარა ბოლოს იძულებული შევიქენით, უკუგვეგდო ნემეცური სიტყვა და ისევ უცხო გვეხმარა, რადგან ნემეცური სიტყვა საგნის ვიწრო გამომხატველი იყო, ვიდრე უცხო. პირველ პროექტში ჩვენ უარვყავით საზიზღარი სიტყვა „მონოპოლია“, „მონოპოლისტები“ და მის მაგიერ ვიხმარეთ სიტყვა „ერთეული საკუთრება, შრომის იარაღის მიმთვისებელი“, მარა, როცა დაწვრილებით განვიხილეთ, ვსცანით, რომ შეუძლებელი იყო უცხო სიტყვების უარ ყოფა. მართალია მასისთვის პროგრამა ძნელი გასაგებია, როცა ის უცხო სიტყვებით არის აჭრელებული, მარა განვითარებულ პარტიის წევრისთვის, რომელსაც „კაპიტალი“ ან მისი პოპულიარული გამოცემა წაუკითხავს და ჩვენ პარტიულ ლიტერატურას გაცნობილია, უცხო სიტყვები ადვილად გასაგებია. ერთი სიტყვით, ჩვენ, რამდენათაც შესაძლებელი იყო, ვეცადეთ უცხო სიტყვები ცოტა გვეხმარა.

ეხლა მე მოკლეთ შევეხები კომისიის შრომას პროგრამის შედგენაზე. თქვენ აირჩიეთ კომისია, რომელსაც უნდა შეემუშავებია პროგრამის პროექტი. კომისიას, რომელიც 21 წევრისაგან შესდგე-

*) ამ უცხო სიტყვებისთვის ქართულ ენაზე არის ტერმინები: წარმოება, წარმოებითი და სხ.

შენ. მთარგ.

ბოდა, სულ 4 სხდომა ჰქონდა. ვიკრიბებოდით კვირა დღეობით დილის 9-დან, ნაშუადღევის პირველ საათის ნახევრამდე. სხდომა დილით და საღამოთი იყო. შემდეგ შეიკრიბა ამ კომისიისაგან არჩეული სარედაქციო კომისია და საღამოს 8 საათზე ყველამ ერთათ შევიმუშავეთ და მივიღეთ ის პროექტი, რომელიც თქვენ წარმოგიდგინეთ.

თავიდანვე ჩვენ უნდა შეეთანხმებულიყავით ერთ პროექტზე, რომელიც საფუძვლათ უნდა დასდებოდა მთელ შრომას. ყოველ მხრით განხილვის შემდეგ ჩვენ მივიღეთ „ნოიე ცაიტ“-ის პროექტი, რომელიც ყველაზე უფრო დროს შესაფერი იყო. ამასთანავე ყველანი თანახმა ვიყავით, შეგვეკრა პროგრამა გამგეობის პროექტიდან. არავითარი აზრთა წინააღმდეგობა და უკმაყოფილება, როგორც ხმა დადის, ჩვენში არ ყოფილა. ამას მე გადაჭრით ვამბობ და ვაღვიარებ, რომ ის ხმები, ვითომ კომისია ორ მოწინააღმდეგე ბანაკათ გაიყო, სიმართლეს მოკლებულია. კომისიის წევრების ერთი ნაწილი იმის მომხრე იყო, რომ პროგრამისთვის საფუძვლათ გამგეობის პროექტი დაგვედო, მეორე კი „ნოიე ცაიტის“ რედაქციის პროექტის მომხრე იყო, მაგრამ აქედან არ შეგვიძლია ის დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ ვითომ წევრები ორ ბანაკათ გაყოფილიყოს პრინციპიალურ ნიადაგზე. როცა კითხვა საბოლოოთ გადაწყდა და ერთ პროექტზე გავჩერდით ყველანი, ყველა შეერთებული ძალით შევუდექით ამ პროექტის შემუშავებას. ამ შემთხვევას მე ხაზს ვუსვამ, რომ ყოველივე უსაფუძვლო ხმებს ბოლო მო-

ეღოს. პროექტის ის ფორმა, რომელიც თქვენ წარმოგიდგინეს, ერთხმათ მიღებულ იქნა პარტიის ყველა 21 წევრისაგან, რაც ცხადი დამამტკიცებელია პარტიის ერთსულობის. პარტიაში მუდამ ერთსულობა იყო, რაც თვით პარტიის თვისებიდან გამომდინარეობს. ამიტომ არავითარ განხეთქილებას და პარტიის განაწილებას ადგილი არ ჰქონია, რასაც დიდის სიხარულით ელოდებოდენ ჩვენი მოწინააღმდეგენი.

ჯერ სანამ პროგრამის მთავარ პრინციპებს განვიხილავდეთ, მე მინდა საზოგადო შენიშვნა გავუკეთო პროგრამას.

ეგრეთ წოდებულ „ლასსალის წინადადების“ გამორიცხვა პროგრამიდან თვით პარტიის ნება იყო. ამ აზრითვე გამორიცხულ იქნა „სამუშაო ქირის რკინის კანონი“. თუმცა იმ აზრის იყვენ, რომ შეგვენახა ეს წინადადება და შესაფერი ახსნა-განმარტება მიგვეცა, მარა ეს არევ-დარევდა საქმეს. უმრავლესობა იმ აზრის იყო, რომ ამ წინადადებაში გატარებული აზრი ნათლათ გამოხატული იყო პროგრამის პრინციპიალურ ნაწილში. ახალ პროგრამაში წითელი ზოლივით არის გაყოლებული ის აზრი, რომ ის ხალხი, ვისაც წარმოების საშუალება აქვს, ხმარობს მას სხვის გასაყვლეფათ, სხვის დასამონავებლათ, თავის მეზობლის გასაპროლეტარებლათ, რომელთაც წარმოების საშუალება არა აქვთ.

პროგრამა ნათლათ ახასიათებს კაპიტალისტურ წარმოების გაყვლეფის პრინციპს, რომელიც ბუნდოვანად და ცალმხრივათ აღნიშნულია ეგრედ წო-

დებულ „სამუშაო ქირის რკინის კანონში“. შემდეგ ჩვენ უარვყოვით შემდეგი წინადადება „ერთობლივი რეაქციონური მასა“. მართალია ჩვენი მოწინააღმდეგენი კლასობრივ ბრძოლაში სდგანან ჩვენ წინააღმდეგ, როგორც „შეერთებული რეაქციონური მასა“, მარა ამ აზრს მანიფესტში და კომენტარიებში აქვს ალაგი და არა პროგრამაში. რადგან ყველა სხვა პარტიებზე არ შეიძლება ითქვას, ვითომც ისინი „ერთ შეერთებულ რეაქციონურ მასას“ წარმოადგენდეს და თანაც ასეთი ფორმულიროვკა უფრო საზოგადო ხასიათის იყო, ვიდრე მეცნიერული, ამიტომ პროგრამაში მას ადგილი არ უნდა ჰქონოდა. ჭეშმარიტებაა ის, რომ ყველა სხვა პარტიები კაპიტალისტურ ნიადაგზე დგანან და პრინციპიალურათ ჩვენი წინაალმდეგი არიან, რაკი ჩვენ კაპიტალის განადგურება გვინდა და ჩვენ პროგრამაშიაც ეს აზრია გატარებული.

პროგრამაში ვერ შეხვდებით ისეთ ტერმინებს, რომლებიც ლასსალიანელებს და ეიზენახელებს მოსწონდათ როგორც მაგალითათ „შრომის ნაყოფი“. ის აზრი დიდი ხანია ყველამ უარჰყო, რომ თვითეულს თავის „შრომის ნაყოფი“ მიეღო, მარა ტერმინი „შრომის ნაყოფი“ ისევ დარჩა და ბევრსაც უნდოდა შენახულიყო. ყოველ შემთხვევაში ეს მეცნიერული არ არის და პროგრამაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

წინადადება მოგვცეს სიტყვა „კაპიტალისტური“-ს მაგიერ გვეხმარა „კერძო კაპიტალისტური“, მარა ეს უარვყავით. მართალია შეიძლება კერძო

კაპიტალისტურ წარმოებაზე ლაპარაკი, მარა ეს კაპიტალისტურ წარმოების ერთ ნაწილს შეეხება. ჩვენ საქმე გვაქვს საერთოთ კაპიტალისტურ წარმოებასთან, რომელიც შეიძლება სახელმწიფოს ხელში იყოს და არა კერძო. ეს კი შესაძლებელია, რადგანაც თანამედროვე სახელმწიფო არაფრით არ ჩამოუვარდება კერძო მწარმოებელს კაპიტალისტურ გაყვლეფაში და შეიძლება უარესიც იყოს. სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი, კაპიტალიზმის უსაძაგლესი ფორმაა. რადგან დღეს მის ხელშია პოლიტიკური და ეკონომიური უფლებები და მით უფრო ძლიერია კერძო კაპიტალისტზე

მეორე წინადადება იყო ის, რომ სიტყვა „კაპიტალისტური“ შეგვეცვალა სიტყვა „მსხვილი კაპიტალისტურით“ იმ მოსაზრებით, რომ წვრილი კაპიტალის წინააღმდეგ გამოსვლა არა ღირსო. კი მარა კაპიტალიზმი ხომ კაპიტალიზმია, წვრილი იქნება თუ მსხვილი. მარქსმა დასწერა „კაპიტალი“ და რომ ასე საჭირო ყოფილიყო „კაპიტალის“ მაგიერ უთუოთ „მსხვილ კაპიტალს“ დაარქმევდა თავის ნაწარმოებს. კაპიტალისტური გაყვლეფა ერთი და იგივეა, მხოლოდ საქმე იმაშია, რომ რაც დიდი ხდება კაპიტალის კონცენტრაცია, ეს კი თვით კაპიტალის თვისებიდან გამოდის, მით უფრო ფართოთ იყვლიფება მშრომელი, მაშასადამე ერთიცა და მეორეც გაყვლეფის პრინციპებზეა აშენებული. ამიტომ სიტყვა „კაპიტალისტური“ უცვლელათ დავტოვეთ.

ქვევით ჩვენ ყურადღებას იქცევს ის გარემო-

ბ. რომ პროექტში გამოტოვებულია სიტყვა „სახელმწიფო“. ეს სიტყვა არ ყოფილა ნახმარი არც გამგეობის პროექტში და არც მაგდებურგისაში, რომელმაც ძალიან შეგვიწყო ხელი პროექტის შედგენაში. აქ არ შევეხები იმას ექნება თუ არა სახელმწიფოს ადგილი სოციალისტურ საზოგადოებაში. ამ მხრით ბევრი ჩემი ამხანაგების წინააღმდეგი ვარ. რომ სახელმწიფო მხოლოდ საზოგადოების ფორმაა, რომ ბურჟუაზიული საზოგადოება სახელმწიფოს ყოველ ფორმით სარგებლობს სხვის გასაყვლეფათ, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფო ყოველ შემთხვევაში კლასობრივი სახელმწიფო იქნება ე. ი. სახელმწიფოებრივი გასაყვლეფი ორგანიზაცია—ეს ყველა სოციალ-დემოკრატისთვის დღესავით ნათელია. ჩემთვის მხოლოდ ეს არის გაუგებარი შეიძლება თუ არა ვუწოდოთ სახელმწიფო იმ ორგანიზაციის ფორმას, რომელსაც მიიღებს ყველა კლასები, კლასობრივ სახელმწიფოს, ბურჟუაზიულთან ერთად, დანგრევის შემდეგ. მე თავის თავათ არ შემიძლია ვუწოდო და ამიტომ წინააღმდეგი ვარ ჩემი ამხანაგების, რადგან სიტყვა „სახელმწიფო“, „ხელმწიფობა“, „ბატონობა“ გაყვლეფის და დამონავების აშკარა გამომხატველია. სიტყვა „ბატონობა“-ს ფართო მნიშვნელობა აქვს. საზოგადოთ რომ ვსთქვათ „ბატონობა“ ნიშნავს მთელ ორგანიზაციას. არის „სახელმწიფო“ ფუტკრების, ჭიანჭველების, მეცნიერების, მარა როცა ამას ამბობენ

აქ სახეში გაყვლეფა და დამონავება კი არ აქვთ, აქ იგულისხმება მჭიდროთ შეკავშირებული საზოგადო საცხოვრებელი. ამ აზრის მიხედვით ჩვენ ახალ პროგრამაში ვერ ვისარგებლეთ სიტყვა „სახელმწიფო“-თი, რადგან დღეს სახელმწიფოსთან იმდენათ გვაქვს ჩვენ საქმე, რამდენათ ის ჩვენი მტერია. ჩვენ გვწამს, რომ სახელმწიფო იცავს და დაიცავს შემდეგშიც მხოლოდ გაბატონებულ კლასთა ინტერესებს, სანამ კლასობრივი ბატონობა იქნება. ჩვენ გვწამს, რომ ამ სახელმწიფოს ჩვენ პოლიტიკური ბრძოლა უნდა გაუწიოთ და ყოველივე ღონე ვიხმაროთ თავი დავახწიოთ მას, როგორც კლასობრივ სახელმწიფოს. სხვაგვარ სახელმწიფოსთან ჩვენ დღეს საქმე არა გვაქვს და არც ვხედავთ.

ეხლა მე გადავდივარ პროგრამის მთავარ პრინციპებზე. რასაკვირველია მე არ მომთხოვთ, რომ მთელი პროგრამა განვიხილო ეხლა დაწვრილებით. აქ მე მხოლოდ პირველ ნაწილს შევეხები. პროგრამის შედგენის დროს უმთავრესად ჩვენ ვხელმძღვანელობდით ერთი აზრით, სავსებით აღგვენიშნა თანამედროვე საზოგადოების მოუწყობლობის მიზეზები, ნათლათ დაგვეხატა მეურნეობის განვითარების პროცესი, რომელიც კაპიტალისტურ ქვეყანას ორ მტრულ ბანაკათ ჰყოფს; გამოგვერკვია კლასობრივი ბრძოლის აუცილებლობა კაპიტალისტურ საზოგადოებაში; ყველასათვის ნათელ გვეყო, რომ სანამ ბურჟუაზიული სახელმწიფო არსებობს, მანამ აუცილებელი იქნება სხვისი გაყვლეფის და დამო-

ნავების სისტემაც. საზოგადოების ორ მტრულ ბანაკათ გაყოფის მიზეზათ ის უნდა ჩავთვალოთ, რომ წარმოების საშუალება ე. ი. მიწა, ნედლი საქონელი, სამუშაო იარაღი, მანქანები, მადნები და გზები კერძო საკუთრება გახდა. ჩვენ რომ წარმოვიდგინოთ ისეთი საზოგადოება, სადაც ყველა წევრს საზოგადოებისას აქვს წარმოების საშუალება, ისე, რომ თვითეულს შეუძლია სხვის დაუხმარებლათ გააკეთოს რაც მას სჭირია, მაშინ აქ საქონლის წარმოება აღარ იქნება და სხვის გაყვლეფასაც ადგილი აღარ ექნება. იყო თუ არა, ან როდის იქნება ასეთი საზოგადოება ეს კომენტარიების საქმეა. ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა წარმოების საშუალება, უმეტესათ „დედა-მიწა“, ნამდვილ მწარმოებელ მუშათა ხელში იქნება. იმ მომენტიდან, როცა წარმოების საშუალების კერძო საკუთრებამ თავი იჩინა, ფეხს იკიდებს ყოველგვარი გაყვლეფა და საზოგადოება ორ მოპირდაპირე ბანაკათ იყოფა და მათ შორის სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა იმართება. ეს პროცესი ერთბაშათ არ ხდება. ის ძველი დროიდან დაწყებული თანდათან ფეხს იკიდებს. ბურჟუაზიულ სახელმწიფოში, რომელთანაც ჩვენ გვაქვს საქმე, ამ პროცესმა მაგრათ მოიდგა ფეხი და მთელი თავისი სიძლიერე გამოიჩინა. რამდენათაც წარმოების საშუალება უმცირესობის ხელში გადადის და მათ მონოპოლიათ ხდება, იმდენათ ეს პროცესი მაგრათ ფეხს იკიდებს და მეტ სისასტიკეს იჩენს. როცა წარმოება მეტ სარგებლობას იძლევა და უფრო ნაყოფიერია, უბრალო იარაღების

ალაგს მანქანა იჭერს, ეს მანქანები თანდათან უმ-
ჯობესდება. კაპიტალი და მასთან ერთათ წარმოე-
ბა თანდათან იზრდება, წვრილი წარმოება მსხვილს
უთმობს ალაგს და უკანასკნელის ალაგს თანამედ-
როვე ვებერთელა წარმოება იჭერს, მარა დღეს
ვერც ეს აკმაყოფილებს მათ და მათ ალაგას ჩნდე-
ბა კარტელები, ამხანაგობები, კავშირები და სხ.
კაპიტალის კონცენტრაციასთან ერთათ იზრდება გა-
ყვლეფა, ცარცვა-გლეჯა, რომელსაც არავითარი
საზღვარი არ აქვს. აქედან წარმოსდგება პროლე-
ტარიატის უკიდურესი სიღარიბე და მისი დაჩაგვრა-
დამონავება.

ეს ისტორიული პროცესი და მისი კანონები,
რომლების წყალობითაც ეს ხდება ცხოვრებაში, სავ-
სებით უნდა ყოფილიყო პროგრამაში მოთავსებული.
იქ ნათლათ უნდა ყოფილიყო აღნიშნული, რომ თა-
ნამედროვე პირობები პირდაპირი შედეგია იმისი,
რომ მუშა მოკლებულია საწარმოო საშუალებას,
რომ წარმოების საშუალების კონცენტრაციის ზრდა-
განვითარებასთან ერთათ იზრდება და ფეხს იკიდებს
სხვისი გაყვლეფა, რომ ამ ბოროტების თავი და თა-
ვი მიზეზი წარმოების საშუალების კერძო საკუთრე-
ბაა და ძალა-უნებურათ აქედან იბადება სხვისი გა-
ყვლეფა, რადგან მას, ვინც შრომობს, საწარმოო სა-
შუალება არ აქვს, მას აქვს მხოლოდ სამუშაო ძა-
ლა და მარტო ამ ძალით არ შეუძლია ღირებულე-
ბის შექმნა. სამუშაო ძალა ისეთი ნივთი არ არის,
რომ შეიძლებოდეს მისი მუშისგან მოშორება და
ისე სარგებლობა, ის განუყოფელია მისგან და ამი-

ტომ შიმშილით რომ არ მოკვდეს, იძულებულია ემსახუროს იმას, ვინც წარმოების საშუალების კერძო მესაკუთრეა. აქედან მომდინარეობს და ვითარდება ეკონომიური დამოკიდებულება, ეკონომიური გაყვლეფა და ამ უკანასკნელიდან კი პოლიტიკური დამოკიდებულება. ის წვრილი მესაკუთრენი, რომელნიც პროლეტარებსა და კაპიტალისტებს შუა არიან გაჩხირულნი და რომელნიც იძულებულნი არიან თვითონ იშრომონ, თანდათან ქრებიან. თანამედროვე საზოგადოების პროცესი იმაში გამოიხატება, რომ წარმოების საშუალება უმცირესობის ხელში გროვდება და ეს უმცირესობა ყოველივე საკუთრებას აცლის ხელიდან ისედაც გაღატაკებულ უმრავლესობას, იმონებს მას და უმოწყალოთ ყვლეფს. ასეთია თანამედროვე საზოგადოების ბუნებრივი კანონი.

წარმოების საშუალების პატრონი ყვლეფს იმას, ვისაც არაფერი არ აბადია და იძულებულია მიექირაოს მას; ის აძლევს მას მხოლოდ დახარჯული შრომის ერთი ნაწილის ფასს. ზედმეტი ღირებულება კაპიტალისტის ჯიბეში ჩადის და საშუალებას აძლევს მას, კაპიტალის გადიდებით, გააფართოოს წარმოება და მაგარი ქსელი გააბას მუშების გასაბმელათ და მათ გასაყვლეფათ. ამგვარათ, მუშა, რომელიც შრომობს და სიმდიდრეს ქმნის, თვითონვე სჭედს თავის მონობის ბორკილს. არავითარ კეთილ ნდომას არ შეუძლია შესცვალოს რამე ამ პროცესში. კრიტიკა, რომელიც ძირიანათ არ ეხება კაპიტალიზმს, აქ უნაყოფოა. ყოველივე ცდა ამ „ხორც-

მეტების“ თავიდან მოსაშორებლათ, უკეთუ კაპიტალის საფუძველი ხელუხლებლათ დარჩება, ნამდვილი უტოპიაა. ეს „ხორცმეტები“ ისტორიული შედეგებია, კაპიტალისტური წეს-წყობილების ნამდვილი ღვიძლი შვილია. ამ აზრის მიხედვით სოციალ-დემოკრატიული პარტია განსხვავდება, როგორც ნამდვილი რევოლიუციონური პარტია, სხვა დანარჩენ პარტიებისგან, რომლებიც წარმოების საშუალების კერძო საკუთრების ნიადაგზე დგანან. რადგან ეს მუხლი ფრიად საყურადღებო იყო, ჩვენ ის უკანასკნელ პროექტში უფრო ნათლათ და გარკვევით წამოვაყენეთ, ვიდრე პირველში. პირველ პროექტში ნათქვამი იყო, რომ ყველა სხვა დანარჩენი პარტიები კაპიტალისტურ ნიადაგზე დგანან და ამიტომ განურჩევლათ ყველა მუშათა კლასის წინააღმდეგია. ამის წინააღმდეგ მე შემიძლია ვსთქვა, რომ გერმანიაში არის მოძრაობა, თუმცა მცირე პოლიტიკური მხრით, რომელიც ჩვენთან ერთათ ცდილობს კაპიტალისის ფრთების შეკვეცას, რამდენათაც ის მსხვილ კაპიტალს წარმოადგენს, ეს მოძრაობა არის წვრილ-ბურჟუაზიული მოძრაობა. ამ მიმართულებას არ შეიძლება კაპიტალისტური დავარქვათ, მარა რადგანაც ის წარმოების საშუალების კერძო საკუთრების ნიადაგზე დგას, როგორც ჩვენ პროექტშია ნათქვამი, ის ამ ნიადაგზე უერთდება სხვა დანარჩენ პარტიებს. ყველა იმ პარტიების, რომლებსაც ეს ნიადაგი საზოგადო აქვთ, მოპირდაპირეთ მხოლოთ მარტო ჩვენ სოციალდემოკრატები ვდგევართ, როგორც ცალკე ჩამოყალიბებული მასა. აქ არავითარ

კომპრომისებს და მორიგებას ალაგი არა აქვს. ჩვენ და ჩვენ მტრებს შუა ვებერთელა უფსკრულია, რომელიც დღითი დღე უფრო ღრმავდება და ფართოვდება. ამ უფსკრულზე გადმოხტომა შესაძლოა მხოლოდ იმ მხრიდან, რადგან ის უფრო მაღალია ეკონომიური მხრით და ეკონომიური განვითარების ძალა და ლოღიკა ყოველ წუთს ისვრის ჩვენი მტრის ბანაკიდან პროლეტარებში მთელ რაზმებს, რომლებთაგანი ათასობით ცვივიან უფსკრულში და იღუპებიან. ამ უძირო უფსკრულს მაინც ვერ ავსებს ჩვენი მტრების გაციებული გვამები, ის ისევ ისე არის და წარმოადგენს საზღვარს, რომელიც ჩვენ გვყოფს სხვა პარტიებიდან. ყველა ის, ვისაც უნდა ამ საზღვარს გადააბიჯოს, ვისაც წვრილ ბურჟუაზიული უტოპია იზიდავს, ვისაც თუნდ ერთ წუთსაც ავიწყდება, რომ მხოლოდ თანამედროვე წარმოების წესის გამოცვლას შეუძლია ბოლო მოუღოს გაყვლეფას, გაღატაკებას და დამონავებას, ვინც ფიქრობს, რომ მორიგებით და წვრილ ბურჟუაზიული წამლებით შეიძლება თანამედროვე საზოგადოების ბოროტების მორბილება და, მასთან შერიგება, თუნდაც კიდევ რამდენიმე ხნით მაინც,—ვინც ასე ფიქრობს, ის უსათუოთ რევოლიუციონურ ნიადაგს სამუდამოთ შორდება. ჩვენ ასეთი საზომი უნდა ვიხმაროთ, როდესაც ის საკითხი გვაქვს გადასაწყვეტი, ჩვენია თუ არა? ლამაზ ფრაზებს მუშების მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ის ჩვენ ვერაფერს ვერ გვიშველის.

გაყვლეფის გაძლიერება თვით თანამედროვე სა-

ზოგადოების და წარმოების ზრდა-განვითარებაზეა დამოკიდებული. განა სახელმწიფო კანონმდებლობას შეუძლია საშუალო საუკუნოებისკენ გადაგვისროლოს, ან კიდევ შეიძლება განა მსხვილმა წარმოებამ წვრილს დაუთმოს ალაგი, როგორც ამას ოცნებობენ წვრილბურჟუაზიული ფანტაზიორები? ეს ყოვლად შეუძლებელია. თანამედროვე კლასობრივ სახელმწიფოს, რომელიც იძულებულია კაპიტალიზმს ემსახუროს და მისი მონა-მორჩილი იყოს, გაბატონებულ კლასთა წინააღმდეგ ისეთი უბრალო კითხვის გადაწყვეტა არ შეეძლო, როგორც მუშათა დაცვა,—ეს იმ სახელმწიფოს, რომელსაც ოცნებით გატაცებულნი „სოციალურ სამეფოს, ან სახელმწიფოს“ ეძახდენ. საზოგადოების წარმოების ძველ კალაპოტში ჩაყენება შეუძლებელია, ის ისტორიულათ უარ ყოფილი და დამარცხებულია; ახალი კი თავის ბუნებრივი თვისებით თან და თან ახდენს წარმოების საშუალების კერძო ხელში მოგროვებას და გაყვლეფა და საზოგადოების სრულიათ გაპროლეტარება უფრო და უფრო თვალსაჩინო ხდება. ამიტომ სოციალდემოკრატია თხოულობს ამ ბოროტების ძირიანათ აღმოფხვრას, რომ მისი ხსენებაც აღარ იყოს. ის თხოულობს ამას არა თავის გულის თქმის აყოლით, არა, ის თხოულობს შეგნებულათ, ის უყურებს საზოგადოებას, როგორც ერთ ორგანიზმს, რომელიც თან და თან იზრდება და ვითარდება. პარტია ხედავს, რომ თანამედროვე საზოგადოება ისეთ ფაქტორებს ქმნის, რომლებიც საბოლოოთ მას დაანგრევენ; ის ხედავს, რომ თანამედროვე საზოგადოე-

ბა საშინელი სისწრაფით მიექანება უფსკრულისაკენ, რომელიც საუკუნოთ ჩანთქავს მას. სოციალიზმი გამოგონებული რამ არ არის. ეგრეთ წოდებული „მომავალი სახელმწიფო“, რომლისთვისაც ჩვენ დაგვცინოდენ, და რომლის საფუძველი საზოგადოთ ჩვენ აღვნიშნეთ, თანამედროვე კაპიტალისტური სახელმწიფოს, როგორც სოციალისტური წარმოება თანამედროვე კაპიტალისტური წარმოების, პირდაპირი შედეგია. ამ გვარათ, რამდენათაც ფართოვდება და ძლიერდება კაპიტალიზმი, იმდენათ აძლიერებს და ამრავლებს თავის მტერს, ან როგორც კომუნისტურ მანიფესტშია ნათქვამი, ქმნის თავის საფლავის მთხრელებს, თვითონ ითხრის თავის საფლავს. კაპიტალიზმი ქმნის პროლეტარიატს, რომელსაც თავის მემკვიდრეთ ამზადებს, სჭედს მისთვის იარაღს, საშუალებას აძლევს მას შეასრულოს ის, რისკენაც ჩვენ მივისწრაფვით, ქმნის მატერიალურ პირობებს ჩვენი მიზნის განსახორციელებლათ—მოკლეთ რომ ვსთქვათ **თანამედროვე კაპიტალისტური სახელმწიფო, თავისდა უნებურათ, მომავალი სახელმწიფოს მამათ ხდება.** წვრილ ბურჟუაზიულ წარმოების დროს შესაძლებელი იყო ფილანტროპიული უტოპიზმი, რომელიც სოციალიზმს უწოდებდა თავის თავს. რევოლიუციონური, მეცნიერული სოციალიზმი, რომელმაც შეიგნო განვითარების კანონები და თავის თავს ისე უყურებდა, როგორც ამ განვითარების პირდაპირ შედეგს, ამ დროს შეუძლებელი იყო. სოციალიზმი თანამედროვე კაპიტალიზმის პირდაპირი შედეგია, სოციალისტური სა-

ხელმწიფ ო, კაპიტალისტური სახელმწიფოს პირმშო შვილია.

ამიტომ ჩვენ პროექტში, ჩვენ ბუნდოვანი, ჰაერში ჩამოკიდებული მიზანი არ წამოგვიყენებია. ჩვენ ვსთქვით: ასეთია საზოგადოება და ასეთია კანონი, მათი გამოცვლა ჩვენ არ ძალგვიძს, როგორც არ ძალგვიძს თანამედროვე საზოგადოების გამოცვლა;—ეს აუცილებელი კანონი ჩვენ მიგვერეკება სოციალისტურ საზოგადოებისკენ და რადგანაც სოციალიზმი საზოგადო საჭიროებაა, ჩვენც იქით მივილტვით და მოვუწოდებთ ყველა მუშებს სოციალ-დემოკრატიულ დროშას ამოუდგენ, შემოვიდენ ჩვენ „რკალში“ *).

ჩვენ ვთქვით, რომ მოძრაობის გამომხატველი კლასობრივი ბრძოლაა. ეს სიტყვა, რომელიც პირველათ მარქსმა გადმოიტანა ინგლისურიდან ნემეცურ ენაში, სრულიად არღვევს იმ აზრს, ვითომ მარქსის მოძღვრება, მეცნიერული სოციალიზმი. უარს ყოფდეს ეკონომიურ განვითარებაში პიროვნებისა მნიშვნელობას, ეს ტყუილია. წინააღმდეგ ბურჟუაზიული საზოგადოების მთელ განვითარებას მარქსი ისე ეყურებს, როგორც ბურჟუაზიული ომების შედეგს, რომლებიც თან და თან უმაღლეს ფორმას ღებულობენ ეკონომიური განვითარების თანახმათ. კლასობრივი ბრძოლა ნამდვილ ცოცხალ ადამიანთა

*) სიტყვა „რკალი“ ნასესხებია გლეხების ლექსიდან: „მე საწყალი კონრადი ამას ვამბობ და ასე დავრჩები; ვისაც არ უნდა სახელმწიფო გადასახადი გაიღოს, შემოვიდეს ამ „რკალში“.

ბრძოლაა, ნამდვილი, რეალური ბრძოლაა. ამ ბრძოლის თვისება ისე კარგათ არავის დაუხატავს, როგორც მარქსს.

ვაცხადებთ რა, რომ ჩვენ გვსურს თანამედროვე კლასობრივ სახელმწიფოს მოსპობა, თან წინდაწინვე ვავუწყებთ ჩვენ მოწინააღმდეგეთ, რომ სოციალდემოკრატია სწყვეტს კლასობრივ ბრძოლას თანამედროვე წარმოების ფორმის მოსპობით. როცა წარმოების საშუალება საზოგადო გახდება, პროლეტარიატი, როგორც ბურჟუაზია, კლასი აღარ იქნება, მაშინ აღარ იქნება კლასებათ დაყოფა, მაშინ იქნება მხოლოდ საზოგადოება, საზოგადოება თანასწორ უფლებიან ხალხის—ქეშმარიტი ადამიანური საზოგადოება: ადამიანები და ადამიანობა. ამიტომ ცხადია, გარკვევით უნდა გამოგვეთქვა, რომ ჩვენ ერთი კლასობრივი ბატონობის მეორეთი შეცვლა არ გვინდა. ან მტრობით და ან შეუგნებლობით შეიძლებოდა ასეთი აზრი მოეხვიათ ჩვენთვის თავზე, რადგან ბატონობისთვის და უფლებისთვის საჭიროა წარმოების საშუალების კერძო საკუთრება—წარმოების საშუალების კერძო საკუთრება ბატონობის ნამდვილი საფუძველია და სოციალიზმი კი ყოველივე წარმოების საშუალების კერძო საკუთრებას სპობს. ბატონობა და ყოველგვარი გაყვლეფა უსათუოთ უნდა მოისპოს, ხალხი უნდა იყოს თანასწორი და თავისუფალი, არ უნდა იყოს არც ბატონი და არც ყმა, არამედ მხოლოდ მარტო ამხანაგები, ძმები და დები!..

ამ საზოგადო აზრთან ერთათ ჩვენ გარკვევით

უნდა აღგვენიშნა პარტიის საერთაშორისო ხასიათი. საერთაშორისო მუშათა საზოგადოების დაარსებიდან, მესამოცე წლების ნახევარში, ნემეცი მუშები ყოველ შემთხვევით სარგებლობდენ აღიარებიათ მუშათა მოძრაობის საერთაშორისო ხასიათი და ყოველივე დახმარება გაეწიათ მისთვის. ახალ პროგრამაში ჩვენ გამოვსთქვით ეს აზრი მეტათ გარკვევით ორი მხრით: პირველათ ეკონომიური მხრით—ეკონომიურ განვითარებას არსებითად საერთაშორისო ხასიათი აქვს და მეორეთ პოლიტიკური მხრით, რადგან ეკონომიური განვითარების საერთაშორისო ხასიათიდან გამოდის ის, რომ შეუძლებელია სოციალური კითხვის გადაწყვეტა ერთ რომელიმე ქვეყანაში და ამიტომ საჭიროა მუშათა კლასის საერთაშორისო დახმარება. შემდეგ, რადგან საზღვარ-გარეთ მომხდარ ამბებს ზოგიერთებმა სულ სხვა ხასიათი მისცეს და სხვაფერ ახსნეს ჩვენ პირველ მოვალეობათ ჩავთვალეთ პირდაპირ გამოგვეთქვა, რომ ჩვენ ყველანი მთელი ქვეყნის შეგნებულ მუშებთან ერთათ ვართ—მათი ინტერესები ჩვენი ინტერესებია. მათი დამარცხება ჩვენი დამარცხებაა და გამარჯვება, ჩვენი გამარჯვება. საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია უბრალო სიტყვები არ არის, ის არის ნამდვილი მიზანი ჩვენი, ურომლისოთაც შეუძლებელია მუშათა კლასის წინ-სვლა. საერთაშორისო საკითხი ჩვენთვის მასხრობა როდია. ჩვენ კარგათ ვიცით ჩვენი მოთხოვნილებების და ვალდებულებების შედეგები, რომლებსაც ჩვენ გვაკისრებენ და ეს თუ ახალ პროგრამაში გარკვევით ვერ გამოვთქვით, მი-

ზეზი ის არის, რომ საჭიროთ არ ვსცანით. იმას, რასაც ჩვენ აქ გადავსწყვეტთ, თვითეული ჩვენგანი ეცდება ცხოვრებაში გაატაროს და განახორციელოს პროლეტარიატის საერთაშორისო კავშირში. გერმანიის სოციალდემოკრატია თავის ვალდებულებას მუდამ შეასრულებს, რაც უნდა ძნელი იყოს.

თქვენ ყურადღებას მივაქცევ შემდეგ გარემოებას: მუშათა კლასის ბრძოლა კაპიტალისტურ გაყვლეფის წინააღმდეგ, აუცილებლათ პოლიტიკურ ბრძოლათ იქცევა. მუშათა კლასს არ შეუძლია ეკონომიური ბრძოლა და ეკონომიური განვითარება, უკეთუ პოლიტიკურ უფლებებს მოკლებულია. ამით ჩვენ ცხადათ ვხედავთ ჩვენი პარტიის პოლიტიკურ ხასიათს და შორს ვდგებით იმათგან, რომლებიც ქადაგებენ „მოქმედებით პროპაგანდას და რევოლიუციონური მრავალსიტყვაობის შემწეობით უსაქმობის პროპაგანდას-კი ეწევიან *). ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ პოლიტიკურ ნიადაგზე და ამისთვის მთელი ჩვენი ძალ-ღონე უნდა ვიხმაროთ ჩვენი საქმის წინ წასაწევათ. წინ დიადი შრომა გვიძევს და რამდენიც მეტი შეერთებული ძალა იქნება, იმდენი უფრო ადვილი იქნება ჩვენთვის საქმის გაკეთება. ნამდვილი ბავშვური გულუბრყვილობა იქნება ვიფიქროთ, რომ საზოგადოების გამოცვლა, სოციალური რევოლიუცია, შესრულდეს ისე, თუ პოლიტიკურ ბრძოლაში არ ჩავებით და ამის მოლოდინში ვიყოთ. ვინც ამას

---

*) ავტორს აქ სახეში ანარხისტები ყავს.

შენ. მთარგმ.

ფიქრობს, იმას სრულებით წარმოდგენა არა აქვს-რა ძნელია ჩვენი განმათავისუფლებელი მოძრაობა.

მუშათა კლასს არ შეუძლია მოახდინოს წარმოების საშუალებათა საზოგადოების ხელში გადასვლა, უკეთუ პოლიტიკური უფლება არ მოიპოვა. ჩვენ ვიბრძვით ამ უფლების მოსაპოებლათ. ამიტომ სოციალდემოკრატიული პარტიის ვალია შეგნებული ხასიათი მისცეს ამ ბრძოლას და უჩვენოს მუშათა კლასს მისი აუცილებელი საჭიროება. ჩვენი მოვალეობა მარტო იმას არ შეადგენს, რომ ავუხსნათ მუშებს თანამედროვე საზოგადოების განვითარების კანონები. ჩვენ უნდა შევაგნებინოთ იმათ, რომ თანამედროვე გაყვლეფის და დამონავების ბოლოს მოსაღებათ საჭიროა იმისი შეგნება, რომ ბურჟუაზიული საზოგადოება თავის ზრდა-განვითარებით უტყუარ იარაღს გვაძლევს ხელში მის მოსასპობათ. აქ ცხადათ სჩანს ჩვენი პარტიის ორგვარი ხასიათი: ერთი მხრით მეცნიერული ხასიათი, რომელიც ანარხიულ, ბისმარკისებური, სისხლის და რკინის პოლიტიკის რეცეპტის, შეხედულება ისტორიულ განვითარებაზე, როგორც თავისნებით მოძრაობაზე, რომელიც სურვილისამებრ შეიძლება რევოლიუციის ან რეაქციისაკენ მივმართოთ. მეორე მხრით, ჩვენი პარტიის პრაქტიკული ხასიათი იმაში გამოიხატება, რომ მუშებს აჩვენებენ თავის მიზნის გზას; მათ უჩვენებენ, რომ მხოლოდ პოლიტიკური უფლებების მოპოებით, თანამედროვე საზოგადოების განვითარების დაჩქარების ხელის შეწყობით და მჭიდროთ შეკავშირებით შესაძლებელია ჩვენი მიზნის მიღწევა.

ეხლა გადავდივარ კერძოთ თვითეულ მოთხოვნილებებზე.

როგორც სხვა წინანდელ პროგრამებში, აქაც თავში ჩვენ დავსვით ჩვენი უპირველესი მოთხოვნილება: საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნებითი უფლება, ფარული კენჭის ყრით. ამ კითხვის შესახებ წინათაც ბევრი თქმულა და ჩვენ ახალი არაფერი მიგვიმატებია. ამიტომ ამაზე ვრცლათ ლაპარაკი მეტია. ვიტყვი მხოლოდ პროგრამის იმ მუხლების შესახებ, რომლებიც ასე თუ ისე შევცვალეთ ან დაუმატეთ რამე. არჩევნებითი უფლების მოთხოვნასთან ერთათ ჩვენ გამოვსთქვით ის აზრი, რომ ამ კითხვაში ჩვენ უარს ვყოფთ ყოველივე სქესებრივ განსხვავებას. თუმცა ძველ პროგრამაშიც იყო ეს აზრი გატარებული, მარა ბუნდოვანათ. ახალში კი ჩვენ პირდაპირ ვთხოულობთ ქალებსაც ისეთივე უფლებები მიენიჭოს, როგორიც კაცებს. მეტია აქ იმის შესახებ ლაპარაკი, რომ განცალკევებით ქალთა კითხვა არ არსებობს და ქალების წინსვლა მჭიდროთ დაკავშირებულია მუშათა წინსვლასთან, მაშასადამე მუშათა კითხვა და ქალთა კითხვა ერთი და იგივეა. თხუთმეტი წლის წინეთ, დიდი კამათი იყო ამ კითხვაზე და ეხლა აზრთა განსხვავება აღარ არის, ამიტომ მე გადავდივარ სხვა კითხვაზე.

ქვევით ჩვენ ვთხოულობთ არჩევნების პროპორციონალურ სისტემას. ეს მუხლი არ იყო ძველ პროგრამაში ნახსენები. ამ კითხვის მნიშვნელობა ყველასათვის ცხადია. ჩვენმა გაზეთებმა ისე განმარ-

ტეს და ახსნეს ეს კითხვა, რომ ბევრს არ გამოუდ-
გები მის ახსნას. მე მინდა მხოლოდ ვსთქვა, რომ
მხოლოდ მარტო ასეთი არჩევნებას წესი შესაძლე-
ბელს ჰყოფს წარმომადგენლობის ამომრჩევლების
რიცხვის მიხედვით, ის უარს ყოფს საარჩევნო ოლ-
ქების უთანასწორობას და პარტიის წარმომადგენ-
ლები ამომრჩეველთა რიცხვის შეფარდებით იქნება
არჩეული. საარჩევნო ოლქები სრულიად მოისპობა.
მთელი სახელმწიფო იქმნება ერთი საარჩევნო ოლქი
და უბრალო არითმეტიკული გამოანგარიშებით შე-
საძლებელი იქნება გაგება: ამა და ამ პარტიას ამდენ-
ნი ხმა აქვს, ამა და ამას ამდენი; ამდენი და ამდენი
დეპუტატი უნდა აირჩეს საზოგადოთ, და თვითეულ
პარტიის ხმებთან შეფარდებით მიეცემა თვითეულს
დეპუტატების ადგილი. ეს ისე უბრალო და ადვი-
ლი გასაგებია, რომ ყველა გაიგებს ვინც უნდა
იყოს. ამის წინააღმდეგი არაფერია, გარდა გაბატო-
ნებულ კლასების ინტერესებისა, რომელიც მუდამ
გზაში გვეღობება და ხელს გვიშლის. ჩვენი პარტია
დიდს სარგებლობას ნახავდა არჩევნების ამგვარ წე-
სების შემოღებით, რადგან როგორც თქვენ იცით
ჩვენ მთელ გერმანიაში გაფანტული ვართ. ჩვენ
ერთ განკერძოვებულ ადგილას არა ვართ თავ მოყ-
რილი, როგორც სხვა პარტიები. გერმანიაშიც ისეა
ყველგან სოციალ-დემოკრატია გაფანტული, რო-
გორც სხვა ქვეყნებში. ჩვენი პარტია ჯერ ნორჩია
და ისეთი საარჩევნო ოლქები, სადაც ჩვენ მეტი
ვიყოთ დღეს ცოტაა. დღევანდელ არჩევნების წე-
სის წყალობით ჩვენ ბევრ ხმებს ვკარგავთ, პროპორ-

ციონალურ წესის დროს კი ჩვენი ხმები ერთი ორათ და სამათ მეტი იქნებოდა.

შემდეგ ჩვენ ვთხოულობთ კანონმდებლობის ორ წლიან დროს. ამ კითხვის ახსნაც მეტია აქ. ეს კითხვა ახსნილი იყო, როცა ჩვენ კანონპროექტი შევიტანეთ რეიხსტაგში. ჩვენ დებატებზე და გაზეთებშიც განვმარტეთ, რომ ჩარტისტების ყოველ წლიურ არჩევნების მოთხოვნილება ინგლისში მეტი იყო. თუ კი ჩვენში დემოკრატიული წესწყობილება იქნება, ჩვენ მუდამ შეგვეძლება დეპუტატის ან მთელი პალატის გადაყენება, უკეთუ ისინი არ შეასრულებენ თავის დანიშნულებას და ახალი არჩევნების დანიშვნა.

ცხადია ჩვენ იმის მომხრე ვართ, რომ არჩევნები კვირა უქმე დღეებში მოხდეს და ყოველივე პოლიტიკური უფლებების შეზღუდვა მოისპოს. ჩვენთვის არსებობს მხოლოდ ერთი შემთხვევა, როცა არჩევნებითი უფლება ერთმევა ვისმე, ეს მაშინ როცა ვინმეს აპეკუნი ყავს დანიშნული სულით ავათმყოფობის გამო.

შემდეგ ჩვენ ვთხოულობთ პირდაპირ ხალხის კანონმდებლობას, მიღების და უარის ყოფის უფლებით. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ არ გვსურს მთელი პოლიტიკური ცხოვრება პარლამენტის ქვაბში იხარშებოდეს და მთელ ხალხს მონაწილეობა არ ქონდეს შიგ. დემოკრატიული პრინციპის მიხედვით ყველაფერი თვით ხალხში უნდა კეთდებოდეს. ის არ უნდა ელოდეს, როდის მოიღებენ მოწყალებას ხალხის წარმომადგენლები და გამოსცემენ საჭირო

კანონებს—ხალხს თვითონ უნდა ქონდეს ინიციატივის უფლება. ,ხალხის იმ უფლებას, რომ პირდაპირ შეიტანონ კანონ პროექტი, ზედ მისდევს უარის ყოფის უფლებაც ე. ი. ხალხის უფლება, საყოველთაო ხმით მისცეს პროექტს კანონის ძალა და ან უარჰყოს ის. ეს მოთხოვნილება პრინციპიალურათ გვაქ ჩვენ აღიარებული და წინანდელ პროგრამებშიც არის.

შემდეგ ჩვენ ვთხოულობთ ხალხის ფართო თვითმართველობას, როგორც მთელ სახელმწიფოში ისე პროვინციებში. აქ ჩვენ პირველათ გამოვსთქვით, რომ ხალხისთვის საჭიროა ისეთი სახელმწიფო, რომელიც ნამდვილ დემოკრატიულ საფუძველზეა დამყარებული, პირდაპირ ხალხის გულიდანაა წარმოშობილი და მისი კანტროლის ქვეშაა. ჩვენ ვთხოულობთ რომ ყველა ის დაწესებულებები და კანონები, რომლებიც ხელს უშლიან ხალხის სურვილების განხორციელებას აღიგავოს პირისაგან ქვეყანისა. რომ ეს აუცილებლათ საჭიროა თავის თავად ცხადია. ეს მოთხოვნილება გამომხატველია გერმანიის ყველა პოლიტიკურ დაწესებულებათა დემოკრატიულ ნიადაგზე დამყარების.

ამ პრინციპების მიხედვით ჩვენ ვთხოულობთ, რომ თანამდებობის კაცები ხალხიდან არჩეული იყოს. ხალხის არჩეული პირების სამოქალაქო და სისხლის სამართლის წესით პასუხისგება. თანამდებობის კაცთა პასუხის გება უბრალოთ რომ ვსთქვათ ნიშნავს, თანამდებობის პირთა პოლიტიკურ პასუხის გებას კონსტიტუციით დაკანონებულს. ჩვენ კი ამას არ

ვამბობთ, ჩვენ მეტი გვინდა. ჩვენ გვინდა, რომ თანამდებობის პირნი ყველაფერში პასუხის მგებელნი იყვენ კანონის და საზოგადოების წინაშე. ერთხელ მე გამოვსთქვი ასეთივე აზრი რეიხსტაგში, იმ კანონ პროექტის შესახებ, რომელიც გაირჩა ფრანგთა დეპუტატების პალატაში და რომლითაც უნდა ნაპოლეონის დროს მომხდარ სახელმწიფო წეს-წყობილების გამოცვლის და მის მართვა-გამგეობის დროს დაზარალებულთათვის ენაზღაურებიათ დანაკარგი. მე მაშინ ვსთქვი: „დადგება ისეთი დრო გერმანიაშიც, როცა სოციალისტთა შესახებ კანონების მსხვერპლნი დაკმაყოფილებულ იქმნებიან და ამ კანონების ინიციატორები კი შესაფერათ დაისჯებიან. მე არ მინდა, რომ დაზარალებულთა დაკმაყოფილება იმათ იკისრონ ვინც გადასახადს იხდიან, მე მინდა, რომ ყველაფერი თვით დამნაშავეებმა უზღონ“. რეაქციონერებმა ეს ჩემი სიტყვები ისე მიიღეს თითქო მე სახეში მქონებოდეს მათი „ლინჩის“ (განუსჯელათ დასჯა სიკვდილით, ჩაქოლვა) კანონით დასჯა. მართალია მე სახეში მქონდა მათი დასჯა, მარა არა „ლინჩის“ კანონით. თანამდებობის პირი უმაღლესი არსება არ არის, რომ ხალხს თავზე აჯდეს და ყველაფერს თავის სურვილზე აკეთებდეს. არა, ის უნდა ემსახურებოდეს საზოგადოებას, საზოგადო ინტერესებს. ის ხალხის სურვილებს უნდა ასრულებდეს და ამ სურვილებზე უნდა იყოს დამოკიდებული. ყველა თავის მოქმედების ანგარიში უნდა წარუდგინოს ხალხს და მის წინ პასუხის მგებელი უნდა იყოს. ინგლისში მაგალი-

თათ, ყველა მოქალაქე ვინც უნდა იყოს პასუხის მგებელია სამოქალაქო კანონის წინაშე. მათ რიცხვში სალდათები და აფიცრებიც. თუმცა იქაც, როგორც ჩვენში, აფიცერი და სალდათი სამხედრო სასამართლოს ეკუთვნიან, მარა იმავე დროს ყოველ თავის მოქმედებაში, აგრეთვე სამსახურშიც, ვალდებულია პასუხი აგოს სამოქალაქოს სასამართლოს წინაშე. ავიღოთ მაგალითათ, როცა აფიცერი უბრძანებს სალდათებს არეულობის დროს ესროლეთო. სამხედრო კანონით ის პასუხის მგებელი არ არის, რომ სისხლი დაღვარა, რადგან მას უბრძანეს და მან ბრძანება შეასრულა. სამოქალაქო კანონი კი სულ სხვა რიგათ უყურებს საქმეს. პირველათ სინჯავენ დახოცილებს: აი დახოცილები—როგორ დახოცეს ისინი? სალდათების ტყვიებმა მოუსწრაფეს მათ სიცოცხლე—აფიცერმა უბრძანა ესროლეთო! სალდათებმაც ესროლეს და დახოცეს. შემდეგ: ხალხის დახოცვა თავის დაცვამ გამოიწვია აფიცრისაგან, თუ უცაბედი ან წინასწარ განზრახვით ჩაიდინეს? უცაბედი ან წინასწარ განზრახვით მკვლელობისთვის კანონი სულ ერთია, როგორც ყველა მოქალაქისთვის ისე აფიცერ-სალდათისთვის. თუ არ დამტკიცდა, რომ ჯარი იძულებული იყო თავის დასაცავათ სროლა აეტეხა, ნაფიცი მსაჯულები ჩვეულებრივათ აცხადებენ: არავითარი საბუთი არ ქონდა ჯარს სროლის, ხალხი ჯარს არ შეტაკებია და სროლაც უმიზეზოთ დაიწყეს. მაშინ უკეთეს შემთხვევაში დანაშაულობა ასეთ ფორმას იღებს, არა წინასწარ განზრახვით მკვლელობა, უარეს შემთხვევაში კი, რო-

გორც წინასწარ განზრახ მკვლელობა და მაშინ აფიცერს ველარ იხსნის მისი უფროსის ბრძანება, ის ისე უნდა დაისაჯოს, როგორც საზოგადოთ ყველა მოქალაქე. პირველ შემთხვევაში მას გამასწორებელ სახლში დამწყვდევა მოელის და მეორეში სახრჩობელა. ასეთივე სასჯელი მოელის ყველა სალდათს ინგლისში, რომელიც კი უფროსის ბრძანებით ხალხს ხოცავს. ნუ იფიქრებენ, რომ ასეთი შემთხვევა არ იქნება. მე თვითონ ბევრი შემთხვევა მახსოვს, როცა აფიცრებს ასეთი სასჯელი მიუსაჯეს, თუმცა ბოლოს მეფემ აპატივა დანაშაული. ისიც სათქმელია, რომ შეიძლება ამ საშუალებამაც ვერ გვიშველოს, მარა ყოველ შემთხვევაში ჩვენი მოთხოვნა სამართლიანია. მე შემიძლია ერთი მაგალითი მოვიყვანო გერმანიის ცხოვრებიდან გენერალ ფოგელ-ფონ-ფალკენშტეინის შასახებ, როცა მან ფრანგებთან უკანასკნელ ომის დროს ებრძანა ჩვენი მაშინდელი პარტიის გამგეობის დატუსაღება ლიოცენში. ომის გათავების შემდეგ დასჯილებმა საჩივარი აღძრეს გენერალზე და ყველა სასამართლოში საქმე მოიგეს და გენერალს კარგა ბლომა ფული გადაახდევინეს დასჯილთა სასარგებლოთ. ეს იყო ბრაუნშვეიგში. ეხლა კი ასეთ გადაწყვეტილებას ძვირათ უნდა მოველოდეთ.

ქვევით შემდეგი მოთხოვნილებაა წამოყენებული: ხალხის საყოველთაო შეიარაღება, მისი სამხედრო საქმეში გაწვრთნა და სამუდამო ჯარის სახალხო მილიციით შეცვლა. ეს გერმანიის სოციალდემოკრატიის ძველი მოთხოვნილება წამოყენებულია ფი-

ხტეს „სიტყვაში გერმანიის ნაციის მიმართ“. დღეს ჩვენ გვყავს ხალხი თოფს ქვეშ და უთოფო. როგორც შვეიცარიაში, ყველა სალდათი უნდა იყოს; ამ სისტემის გასატარებლათ კი საჭიროა, რომ ყველა მოქალაქე ბავშვობიდანვე ეჩვეოდეს სამხედრო საქმეს, სროლას, გიმნასტიკას და სხვა. შვეიცარიაში თითქმის ყველა სკოლის მასწავლებელს კარგათ ესმის სამხედრო ტეხნიკა და ომის დროს უნტერაფიცრისა და ხშირად აფიცრის ალაგი უჭირავს. ის ასწავლის თავის მოსწავლეებს ბავშვობიდანვე ყველაფერს, რაც სამხედრო საქმეს შეეხება. ასეთი სისტემის შემოღება ჩემის აზრით მეტათ სასარგებლო იქნება ჩვენთვის, რადგან ასე გაწვრთნილი სალდათი უფრო შეგნებული და მარჯვე იქნება, ვიდრე დღევანდელ პირობებში. მე ვეკითხები იმათ, ვინც სალდათათ ყოფილა, როგორ ასწავლიდენ მათ გიმნასტიკას? ის, რასაც ისინი სწავლობენ, ყურადღების ღირსიც არ არის. ვისაც გიმნასტიკის შესახებ ცოტა რამ გაეგება, ადვილათ წარმოიდგენს, რომ ვინც 20 წლამდე არ სწავლობს გიმნასტიკას, მერე მისთვის ძალიან ძნელია მისი შეთვისება. შემდეგ ვიკითხავ, როგორ მიდის ჩვენი სალდათების საქმე? როგორ იწრთვნებიან ისინი სროლაში? ვინც იცის რა არის კარგი მსროლელი, იტყვის, რომ ჩვენი სალდათები სრულებით უვიცნი არიან ამ მხრით. ამ კითხვაზე მე ბევრი მიფიქრია.

შემდეგ ჩვენ ვთხოულობთ ზავისა და ომის კითხვების გადაწყვეტა ხალხის წარმომადგენლების ხელში იყოს. ამის შესახებ მხოლოდ ორი სიტყვა. ამ

კითხვის შესახებ ბევრი ილაპარაკეს და თხოულობ-
დენ ასე გამოგვეხატა „ხალხის ხელში"; ამბობენ,
რომ მიღებული ფორმულიროვკა უკან ნაბიჯის გა-
დადგმაა.

შემდეგ ვთხოულობთ: ყველა საერთაშორისო
უთანხმოების სამედიატორო სამართლით გადაწყვე-
ტას. რომ ჩვენ „საუკუნო მშვიდობიანობის" შესა-
ხებ უტოპისტები არა ვართ, ეს ნათლათ დამტკიც-
და ბრიუსელის კონგრესზე. ჩვენს რეზოლიუციაში
იქ გამოვსთქვით, რომ მილიტარიზმი და ის პირო-
ბები, რომლებიც იწვევენ ომს.კაპიტალისტურ წეს-
წყობილების პირდაპირი შედეგია. ჩვენ ბურჟუაზიის
ფანტაზიორებს არ ვგევართ, რომლებიც მიზეზს არ
იკვლევენ და შედეგების მოსპობა კი უნდათ. მიუ-
ხედავათ ამისა ჩვენ ვთხოულობთ საერთაშორისო
სამედიატორო სასამართლოს, რომელსაც გადაეცემა
ყველა საერთაშორისო საქმე განსახილველათ. თუმ-
ცა ჩვენ კარგათ ვიცით, რომ დღეს-დღეობით ჩვენი
მოთხოვნილება არ განხორციელდება, მარა ჩვენ, რო-
გორც პარტია, მაინც ვალდებული ვართ, მუდამ წა-
მოვაყენოთ ასეთი მოთხოვნილებები და მტკიცეთ
დავიცვათ ის.

შემდეგ ჩვენ ვთხოულობთ ყველა იმ კანონე-
ბის გაუქმებას, რომლებითაც ქალი უფლებრივათ
დამოკიდებულია კაცზე, როგორც კერძოთ, ისე სა-
ზოგადოთ. თუმცა ჩვენ ვფიქრობდით, იქნება საჭი-
როც არ იყო ამ მოთხოვნილების კერძოთ წამოყე-
ნება მას შემდეგ, რაც „ყველა მოქალაქეთა უფლე-
ბრივი თანასწორობა წამოვაყენეთ „განურჩეველათ

სქესისა", მარა მაინც საჭიროთ დავინახეთ დაგვეტოვებინა.

პროგრამის შემდეგი ორი მუხლის ნათლათ გარკვევა და შემუშავება ცოტა არ იყოს საძნელო შეიქნა. საქმის გასაადვილებლათ ჩვენ გვირჩიეს მოგვეყვანა ეს მუხლები სავსებით ეიზენახის პროგრამიდან: ეკლესიის სახელმწიფოდან განცალკევება და სკოლის ეკლესიიდან, მარა ჩვენი აზრით აქ სავსებით არ იყო გამოხატული რაც ჩვენ გვინდოდა. ზემო მოყვანილ მუხლებში ეკლესიას და სახელმწიფოს ერთი ალაგი უჭირავს. ჩვენ უფრო შორს წავედით. ჩვენის აზრით ეკლესია კერძო საქმე, კერძო კავშირია და იმავ კანონებს ექვემდებარება, რომლებსაც საზოგადოთ ყველა კერძო საქმე. საყოველთაო თანასწორობის იდეია—აი რა გვინდოდა ჩვენ გამოგვეხატა. ამიტომ ჩვენ ვამბობთ: „საეკლესიო და სარწმუნოებრივი კავშირები და თემები აღიარებულ უნდა იქნეს კერძო კავშირებათ". და რომ კათოლიკებმა აქედან ყალბი აზრი არ შეადგინონ, ჩვენ ვუმატებთ: „კავშირები, რომლებიც თვითონ საკუთრათ განაგებენ თავიანთ საქმეებს". ამ მოთხოვნილებასთან მჭიდროთ შეკავშირებულია მეორე ჩვენი მოთხოვნილება. ჩვენ ვთხოულობთ «სკოლის ეკლესიიდან განცალკევებას», ჩვენ ვთხოულობთ „სახალხო სკოლას". სარწმუნოებას არავითარი საქმე არ უნდა ქონდეს სკოლასთან. ამ მუხლის შემუშავებას ძალიან სიფრთხილით მოვეჭეცით. ყველამ კარგათ იცის, რა ხრიკებს ხმარობს სამღვდელოება და უფრო მეტათ კათოლიკები, რომ როგორმე ახალგაზდობის

აღზრდა-განვითარება ხელიდან არ დასძვრეს და ხალხი თავის გონებრივ გავლენის ქვეშ ყავდეს. ვინ იცის, რა და რა სახელით არ გვიხსენიებენ ჩვენ სოციალდემოკრატებს. ვითომ ჩვენ ურწმუნოები ვიყოთ და ვცთილობდეთ ძალათ გამოვგლიჯოთ ხალხს ხელიდან სარწმუნოება და სხ. ამგვარ ცილისწამების თავიდან ასაცილებლათ ეს მუხლი ჩვენ ასე განვმარტეთ, რომ სარწმუნოება ყველა კაცის კერძო საქმეა და ვისაც როგორ უნდა ისე შეხედავს მას. ყველა კაცს შეუძლია, როგორც უნდა ისე იფიქროს, რა სარწმუნოებაც უნდა ის ქონდეს და არავის ნება არა აქვს ძალათ თავზე მოახვიოს თავისი აზრები და ხელი ააღებინოს თავის სარწმუნოებაზე. ამ მხრით ყველა თავისუფალი უნდა იყოს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამა თუ იმ ხალხის სარწმუნოება ან სხვა რამე, საზოგადოებისთვის მავნებელი არაა. რაკი ჩვენ სარწმუნოება კერძო საქმეთ აღვიარეთ და ის აზრი გამოვთქვით, რომ სხვის სარწმუნოებაში არ ჩავერიოთ, იმ შემთხვევაში ჩვენ სკოლებში სამღვდელოებას არავითარი ადგილი არ უნდა ქონდეს. ჩვენ უნდა გვქონდეს სახალხო სკოლა და ამ სკოლაში, სადაც სამღთო სჯულის ხსენებაც არ იქნება, სიარული ყველასათვის სავალდებულო უნდა იყოს. ხოლო რაც შეეხება სარწმუნოებას, მშობლებს სრული ნება აქვთ აღზარდონ თავიანთი შვილები იმ სარწმუნოებაზე, რომელსაც თვითონ მისდევენ. ჩვენ უფრო ვრცლათ გვინდოდა გამოგვეხატა ეს მუხლი, მარა საჭიროთ არ ვსცანით, რადგან ისედაც ყველასათვის ცხადი და ადვილი გასაგებია.

სკოლების მოწყობის საქმემ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია ჩვენ შორის. გადასაწყვეტი იყო ის კითხვა: ყველა სასწავლებლებში უნივერსიტეტამდე უფასო ყოფილიყო სწავლა თუ არა. ბოლოს მივიღეთ რა მხედველობაში მარქსის კრიტიკა პროგრამის შესახებ, რომ ამ გვარ გადაწყვეტილებით ისევ ბურჟუაზია ისარგებლებდა, რადგან თანამედროვე პირობებში მუშებს საშუალება არა აქვთ თავიანთი შვილები უმაღლეს სასწავლებლებში გაზარდონ, ჩვენ გადავწყვიტეთ უფასო სწავლა და უფასო სასწავლო ნივთები მხოლოდ სახალხო სკოლებისთვის. აქვე დავუმატეთ მეორე მოთხოვნილება—უფასო საჭმელ-სასმელი. ეს კითხვა თითქმის 100 წლის წინეთაც კი იყო წამოყენებული ლაკანალის სასკოლო კანონებში და საფრანგეთის კონვენტმაც მიიღო ლიუდოვიკო მე-XVI-ის სიკვდილის შემდეგ. სკოლის კითხვაც სოციალური კითხვაა: მშიერი ბავშვები ვერ ისწავლიან. თავის თავათ ცხადია, ის ბავშვები, რომლებიც განსაკუთრებულ ნიჭს გამოიჩენენ, როგორც დღეს ამერიკაშია, უმაღლეს სასწავლებლებშიც უფასოთ უნდა იზრდებოდეს.

შემდეგი მოთხოვნილებებია უფასო სამართალი, უფასო ექიმობა და სხვა. ეს ორი მოთხოვნილება არსებითათ ერთი მეორეს წააგავს. დღეს სამართალი მხოლოთ მდიდრების მონოპოლიაა. ღარიბი ისე დაჩაგრული და დამონავებულია, რომ მას ხმის ამოღებაც არ შეუძლია. ვინც მდიდარია, დღეს სამართალის სასწორიც მისკენ იხრება. საჩივარი და საქმის წარმოება იმდენი ფული ჯდება, რომ ღარიბს

არავითარი სახსარი არა აქვს მას მიმართოს და თუ მიმართა, მუდამ გამტყუნებული გამოდის. დღევანდელი სამართალი ფულზეა დაყრდნობილი და მაშასადამე ღარიბისთვის ის ხელმიუწდომელია. ასეა ექიმობაც. როგორც იქ, აქაც ფულებია საჭირო და ექიმობა და ექიმი მხოლოდ მარტო მდიდრებისთვის არსებობს. ამიტომ ჩვენ გარკვეეით წამოვაყენეთ ეს მოთხოვნილება, უფასო სამართალი და ექიმობა.

შემდეგ ჩვენ ვთხოულობთ პროგრესიულ გადასახადის დაწესებას შემოსავალზე და ქონებაზე საზოგადო საჭიროების დასაფარავათ. ჩვენ აქ სახეში მივიღეთ ორგვარი შემოსავალი: ერთი პირდაპირ, შრომით შეძენილი და მეორე უშრომლათ, როგორც მაგალითათ მიწისაგან, კაპიტალისაგან და სხვა. ასეთ შემოსავლებზე პროგრესიული გადასახადი სულ სხვა გვარი უნდა იყოს. ის, ვინც უშრომლათ მკვიდრ ქონებიდან იღებს შემოსავალს, მეტი უნდა გადაიხადოს, ვიდრე იმან, ვინც თავის ოფლით იძენს.

ე[illegible]ა მე გადავდივარ კერძო მოთხოვნილებების მეორე ნაწილზე, სახელდობ იმაზე, რომლებსაც ჩვენ ვაყენებთ მუშათა კლასის დასაცველათ. ამ მოთხოვნილებებში არც ერთი ვრცელ განმარტებას არ თხოულობს. მე მინდა აქ მოგაგონოთ, რომ ჩვენ ერთხმათ უარვყავით წინადადება, სახელმწიფო დაზღვევა უმუშავრობაზეც გავრცელებულიყო.

ჩვენ იმ აზრს დავადექით, რომ ეს მოთხოვნილება შეუძლებელი იყო. ეს ჩვენ ნათლათ დაგვანახა ინგლისმა, სადაც ასეთი მისწრაფება მხოლოთ იმ მუშებში განხორციელდა, რომლებიც სამუშაოზე

რიგიან ქირას იღებდენ და უსაქმოთ დარჩენილნი ცოტა იყო. დანარჩენ სხვა პროფესიებში ყოვლათ შეუძლებელი შეიქნა ამ აზრის განხორციელება. ჩვენ, როგორც მუშათა პარტია, ისეთ მოთხოვნილებებს უნდა ვაყენებდეთ, რომლების განხორციელება შესაძლებელი იქნება და სხვა ქვეყნებში უკვე განახორციელეს. უსაქმოთ დარჩენილთა დაზღვევა ოცნების ნაყოფია.

როცა ბისმარკი ძლიერი შეიქნა, პროგრესიულ ბურჟუაზიის შესახებ შემდეგი წარმოსთქვა: „თუ მე თქვენ ვერ დაგიმორჩილეთ პროგრესისტებო და ლიბერალებო, იმ შემთხვევაში მე მოვუწოდებ პროლეტარიატს, ავუშვებ ჯაქვიდან და თქვენზე გამოვალაშქრებ სოციალისტურ მოძრაობას“. გაისმა თავად ბისმარკის რიხიანი ხმა, მარა პროლეტარიატი არ დაიძრა. ჩვენ მოგვცეს წინადადება მარა ჩვენის ზიზღით უარ ვყავით. გაისმა სოციალდემოკრატიის მედგარი ხმა და პროლეტარიატიც დაიძრა. დაიწყო გერმანიის მუშათა მოძრაობა და ის მოძრაობს დღეს იმდენათ, რამდენათაც მას შეგნებული აქვს თავისი კლასობრივი ინტერესები. ის, რაც ბისმარკმა ვერ შესძლო, შესძლო სოციალდემოკრატიამ.—ის ბისმარკზე უფრო მძლავრი გამოდგა. ამბობდენ „განვითარების რკინის კანონზე“. დიახ, ის არის და მისი მოღუნვა და გატეხა ძალით არავის შეუძლია. ის ბისმარკი, რომელიც რიხით იძახდა, „ყველაფერი მე ვარ, სახელმწიფო მე ვარო“, ის უძლური გამოდგა, გაქრა, მოისპო და საზოგადოება და სახელმწიფო კი ისევ არის. სოციალდემოკრატიამაც კარგათ

იცის, რომ ის ბუნების კანონებს ვერ შეცვლის. ჩვენ ვიცით, რომ ბურჟუაზიული საზოგადოება, რაც უნდა ქნას, მაინც დაღუპვისაკენ მიექანება და მისი ხსნა შეუძლებელია. ასეთია ჩვენი ბურჟუაზიის მდგომარეობა. ის თუმცა ბედს გაურბის, მარა რამდენსაც გარბის, უფრო და უფრო უახლოვდება უფსკრულს და ბოლოს ის შთანთქავს მას.

მას შეუძლია ყველაფერი გვიყოს, მარა ესეც ცხადია, რომ ყველაფერს ჩვენთვის შვრება. მას შეუძლია ყველაფერი თავის სასარგებლოთ გააკეთოს, მარა ყველაფერი ჩვენი სასარგებლოა. ჩვენც შეგვიძლია რაც გვინდა ვაკეთოთ და რასაც ვაკეთებთ, ყველაფერი ჩვენთვის ხელსაყრელია. რაც უნდა ის ქნას ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა, მაინც ჩვენი სასარგებლო იქნება.

მე წინათ ვთქვი, რომ ბურჟუაზიული საზოგადოება არის ისეთი საზოგადოება, რომელიც სხვის გაყვლეფაზეა აშენებული, რომლის იდეალია სხვისი გაყვლეფა და რომ კაპიტალიზმი მუდმივი გაყვლეფაა.

შრომის იარაღის მესაკუთრე ყვლეფს იმათ, ვისაც იარაღი არა აქვს და ეს ასე იქნება მანამდე, სანამ თანამედროვე საზოგადოებრივი წეს-წყობილება იქნება. მართალია ამ საზოგადოებას საკუთრების საზოგადოება ქვია, მარა ნამდვილათ კი ის ძირს უთხრის ყოველივე კერძო საკუთრებას. ამ პროცესის ბოლო ის იქნება, რასაც მარქსმა უწოდა „ექსპროპრიაცია ექსპროპრიატორების“ (სხვისი საკუთრების მიმთვისებლეპის, საკუთრების ჩამორთმევა).

ისეთი პროგრამა ჩვენთვის უვარგისია, რომელსაც ნამდვილი სული არ უდგას. ამიტომ მე გთხოვთ ასოების ღეჭას თავი დაანებოთ. პროგრამა, რომელიც ჩვენ ეხლა განვიხილეთ და მივიღეთ, ერთი საათის შემდეგ შეიძლება ვინმემ კრიტიკის ქარცეცხლში გაატაროს და რაიმე წუნი დასდოს. ეს შესაძლებელია. ჩვენ, როგორც 1875 წელში ამბობდენ, პროგრამიდან რომის პაპის შექმნა არ გვინდა. ჩვენთვის მხოლოდ ერთია საჭირო, პროგრამაში რაც შეიძლება გარკვევით იყოს გამოხატული ჩვენი პარტიის მიზანი, აღნიშნული უნდა იყოს ბურჟუაზიული საზოგადოების განვითარების პროცესი და ის აუცილებლობა, რომლითაც ის აჩქარებს თავის დაღუპვას, და უახლოვდება იმ მომენტს, როცა შესაძლებელი იქნება კაპიტალისტური წარმოების სოციალისტურით შეცვლა. ჩვენი წმინდა მოვალეობა კი ამ პროცესის დაჩქარებაა.

დ ა მ ა ტ ე ბ ა

ეიზენახის პროგრამა (1869 წ.).

1) საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნებითი უფლება, ფარული კენჭის ყრით, ყველა მოქალაქეს, რომელიც 20 წლის იქნება, ყველა არჩევნებში, როგორც პარლამენტში, ისე პროვინციულ და საზოგადოებრივ და თვითმართველობათა დაწესებულებაში.

2) ხალხის პირდაპირი კანონმდებლობითი უფლება (ე. ი. მიღების და უარყოფის უფლება).

3) ყველა წოდების გაუქმება.

4) სამუდამო ჯარის სახალხო მილიციით შეცვლა.

5) სახელმწიფოსაგან ეკლესიის განცალკევება და სკოლის ეკლესიისაგან.

6) საყოველთაო, სავალდებულო უფასო სახალხო განათლება.

7) უფასო სამართალი და პროფესიონალურ და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების დაარსება.

8) ყველა კანონების გაუქმება ბეჭდვის, კრების, სიტყვის და კავშირების შესახებ. თავისუფლება სიტყვის, ბეჭდვის, კრების, კავშირების და პიროვნების ხელუხლებლობა; ნორმალური სამუშაო დღის შემოღება; ბავშვებისა და ქალების შრომის აკრძალვა. მოსპობა კონკურენციის თავისუფალ მუშებისთვის, რომელიც შექმნა გამასწორებელ და მუშათ სახლებში მუშაობამ.

Библ.